ტიკური ფორმა კი იქმნება „მზამზირეული“ მასალებით — ქსოვილებით, ბეწვებით, ფერადი ქაღალდით... თბილისში, რაში სჭირდებათ ნელი (ქსოვილები) მალაღობი ოსტატობის პროფესიონალს, „არატრადიციული“ მასალის მომწოდებელი, მას ხომ ისედაც მშვენივრად ძალუძს ნებისმიერი გრაფიკული, ფერწერული თუ სკულპტურული მასალით ბავშვისთვის (და არა მხოლოდ ბავშვისთვის) მაღალმხატვრული ნაწარმოების შექმნა... მაგრამ სწორედ ფაქტურის ეფექტი თამაშობს დიდ როლს მხატვრის მიერ შეთხზული პატარა მოთხრობების ემოციურ გამომსახველობაში (ბეწვიანი ფინიები და ფისოები, ნაირგვარ ქსოვილში გამოწყობილი პერსონაჟები).

ნელი ოქროპირიძის ხელოვნება ნათელიყოფს, რომ საქმე თვით მასალაში როდია. შეიძლება სულ არ გამოიყენო ფუნჯი და საღებავი და მაღალმხატვრული ნაწარმოები კი შექმნა, რასაკვირველია, სულით მხატვარი თუ ხარ და გაქვს სათქმელი. ამას შესანიშნავად მოწმობს, ასევე, ძირითადად, მცენარეული მასალებით შექმნილი (ხის მერქანი, კორპი, ღეროები და სხვ.) პეიზაჟური ციკლის სურათებიც. მხატვრის ფანტაზიის წყალობით კლდეებად, ხისა და ქვის წყობად თუ სხვა მასალად გადასახული ბუნებისეული ფორმებით იქმნება ზოგადი ხატება ამა თუ იმ მოვლენისა, მხანველის თვალწინ ცოცხლდება ეროვნული ხუროთმოძღვრების დიდებული ძეგლები, ცინესიმაგრები და ეკლესიები, საქართველოს სხვადასხვა კუთხის სახასიათო ბუნება... მინიატურაში მომწყვდეული ეს შთამბეჭდავი ხედები პოეტური სახიერების იმ სიმბოლურება აყვანილი, როცა მხატვრის მიერ განცილი და ხორცშესხმული მოტივი მხანველსაც აღტაცებას მოჰგვრის. საოცრად დახვეწილია ყოველი დეტალი, ხოლო საერთო კომპოზიცია, ხედვის წერტილის შერჩევა, ფერთა და ფაქტურათა გამის ჰარმონია ხომ დაუფიქრარ სანახაობად აქცევს ამ ქმნილებებს.

ლა რა გასაკვირია, რომ ნელი ოქროპირიძის ნამუშევართა ამ ვრცელ გამოფენას ყველა ასაკის უამრავი მყურებელი ჰყავდა. დამთვლიერებულთა ემოციებს შეეხმიანა თვით ცხოვრება — სინამდვილე თავისი წარუვალი მშვენიერებით, ცოცხალი, მხიარული იუმორით, მოვლენათა განცდის მაღალპოეტურობით, რაც ასე აახლოებს ხელოვნებას ადამიანებთან.

ლელია თაბუაშვილი

თხოვა. რა თქმა უნდა, აპლიკაციის ხერხი და ბუნების წიაღში ნაპოვნი ფორმების საშუალებად გამოყენება ნელი ოქროპირიძის აღმოჩენა არ არის. მაგრამ როგორც თვითმყოფ ხელოვანს, ამ სფეროში სრულიად გამორჩეული ტექნიკა და ხელწერა აქვს. იმდენად უსაზღვრო აღმოჩენდა მხატვრის შთავონება, იმდენად შთამბეჭდავი იყო შედეგი, რომ 1956 წლიდან მოყოლებული ნელი ოქროპირიძის ხელოვნება რვაჯერ იხილეს დამთვლიერებლებმა თბილისში, მოსკოვში, იაპონიაში მოწყობილ პერსონალურ გამოფენებზე.

სწორედ აპლიკაციის ხერხითა და ბუნებისეული მასალებით მუშაობის გამოცდილება დაედო საფუძვლად ბავშვთათვის განკუთვნილ შესანიშნავ სახელმძღვანელოებს — „ჩხირკედელა“ და „ფანტაზია და მარჯვე ხელები“, საინტერესო სათამაშოების გაკეთების უამრავ წესს რომ სთავაზობს ნორჩებს. როგორც თვითმხატვრის ნამუშევრები, ისე ამ ალბომებში მოცემული წესები და ხერხები ბავშვს უბიძგებს, შემოქმედებითად შეხედოს ბუნებას, შეხედოს თვით ნელი ოქროპირიძის თვალთ, რომელიც ბუნებისეულის ფორმაში, ფერში, პლასტიკაში ხედავს თავისებურ „სიტყვებს“ აზრისა და განწყობილების გადმოსაცემად.


საქართველოს სურათების გალერეის სამი დარბაზი გაავსო ნელი ოქროპირიძის ნამუშევართა ამასწინანდელმა პერსონალურმა გამოფენამ. ავტორმა წარმოდგინა თავისი მრავალფეროვანი შემოქმედების განსაკვირვებელი სამყარო — დაწყებული მცენარეული მასალებით, გამოძერწილი პერსონაჟებით, ზღაპარ-კომპოზიციებით და თოჯინებით და ურიცხვი ფერადოვანი, თავშესაქცევი მოთხრობა-სურათით დამთავრებული. მხატვარი ფუნჯს და საღებავს ამ ნამუშევრებში მხოლოდ ფონისთვის იყენებს, მოცულობით-პლას-

ნ

ურვის ჰგონია ადვილი იყოს საბავშვო ლექსის ან მოთხრობის დაწერა, ყველაზე ძნელი სწორედ ესაა და თუ არ ღვთიური ნიჭით მირონცხებულს და სულით მდიდარს, არ შეუძლია გახდეს საბავშვო მწერალი. ეს სიტყვები ვაჟაფშაველას ეკუთვნის და თავისუფლად მიესადაგება სხვა შემოქმედებითი დარგების წარმომადგენლებსაც, ვინც ყმაწვილთათვის ქმნის ჭეშმარიტად მაღალი ღირებულების ნაწარმოებებს და ამ შემთხვევაში, ზუსტად ესადაგება ნელი ოქროპირიძეს.

თბილისის სამხატვრო აკადემიის ქანდაკების ფაკულტეტის კურსდამთავრებული (1952) სადიპლომოდ დედაშვილობის თემას ირჩევს და მაღალმხატვრულად წყვეტს ამოცანას. ქანდაკებაში მუშაობის პარალელურად გატაცებით წერს საბავშვო მოთხრობებს, ზღაპრებს, პიესებს... მის პიესას „გაქვავებული ქალაქი“ მოზარდ მყურებელთა თეატრი ახორციელებს, ქუთაისის თოჯინების თეატრში კი იღმეება „ზარმაცის სიზმარი“.


სპეციფიკურმა შემოქმედებითმა ამოცანებმა ხორცშესხმის სხვა ხერხებით მოი-





ღელამ დაიგვიანა.




მზრუნველი ხელი.



სამაია.



ეროვნული
ბიზნესცენტრი



ფოტო ბ. დვალისვილიძის.

ფრიალ საპატივსაცემო და დასაფასებელია იმ პატრიოტ ხელოვანთა გარჯა, ზღვა სიხარულსა და სიამოვნებას რომ ანიჭებენ მილიონობით ადამიანს.

რესპუბლიკის სახალხო არტისტმა ალექსანდრე ბასილაიამ იმთავითვე შთაგონებულ ანსამბლად შექმრა „ივერია“ და, ახალ-ახალი თანამედროვე საკონცერტო პროგრამებით, დღეს კიდევ უფრო განაღვიძა ქართული საესტრადო ხელოვნების სახელოვანი ტრადიციები.







ადამიანი და ცხენი უხსოვარი დროიდან მოაბიჯებენ ერთად ისტორიის გრძელ გზაზე. კაცობრიობის წინსვლა-განვითარებაში არც ერთ სულიერს არ შეუტანია იმდენი წვლილი, რამდენიც ცხენს. ცხენმა მისცა სტიმული ვაჭრობის, კულტურის, ხელოვნების, ტექნიკის განვითარებას, შეცვალა ომების სტრატეგია...

ძნელია მოიძებნოს ხუროთმოძღვარი, მხატვარი თუ კაზმული სიტყვის ოსტატი, რომლის ყალამს, კალამსა თუ საჭრეთეს ცხენისთვის ქება არ ეძღვნას. მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ძველ ქალაქებს ამშვენებს ცხენზე ამხედრებულ ეროვნულ გმირთა ქანდაკებები. ჩვენი წარმოსახვაც ცხენზე ამხედრებულს ხატავს ვახტანგ გორგასალს, გიორგი სააკაძეს, მეფე ერეკლეს. აკი სწორედ ასეც გაიზარეს და შექმნეს მათი ძეგლები ჩვენმა ცნობილმა მოქანდაკეებმა...

ჩვენი სამშობლო — საქართველო, მეცხენეობისა და ცხენოსნობის უძველესი და

ვახუშტი ბატონიშვილი კი, ქართველთა ღირსებებს რომ ჩამოთვლის, წერს: „...ცხენს ზედა და მხედრობათა შინა კადნიერნი...“

ნუ დავივიწყებთ იმ დიდმნიშვნელოვან ფაქტს, რომ დედამიწაზე ბევრს არ შეუქმნია იმდენი ცხენოსნური თამაში და ვარჯიში, რამდენიც ჩვენმა წინაპრებმა შექმნეს. ცხენბურთი და ისინდი, ყაბახი და თარჩია, მკერდაობა და მოქნევა, ჩეხვა, მთაზე ასვლა და დამეგება, რადი თუ მარულა ჩვენი ხალხისთვის მხოლოდ ვასართობი და თავშესაქცევი როლი იყო. მისი მთავარი დანიშნულება იყო ახალგაზრდების სამხედრო და ფიზიკური მომზადება. ხალხურ ცხენოსნურ თამაშებსა და ვარჯიშებში ცხენიც იწრთობოდა. ბრძოლის ველზე იგი მხედართან ერთად იბრძოდა და ხშირად ეცემოდა მტრისგან განგმირული. როცა სამშობლოსთვის თავგანწირული სამასი არაგველი მხედარი ბრძოლის ველზე დაცვა, მათთან ერთად დაიღუპ-

ალიარებულთა, როგორც ერთ-ერთი ყველაზე საყურადღებო. იგი ძალზე გამძლეა არსებულ ცხენთა ჯიშებს შორის. 20-25 წლის ასაკშიც კი, რაც ცხენებისთვის, ჩვეულებრივ, ხანდაზმულად ითვლება, თუმცა ცხენებს ტვირთი გადააქვთ და ადამიანები გადააყავთ მთის ვიწრო ბილიკებზე.

მეგრული ცხენიც კარგად არის შეგუებული გარემო პირობებს და როგორც აღნიშნავენ, კვებისა და მოვლა-შენახვისადმი დიდი მოთხოვნილებისა არ არის, თანაც, მეტად გამძლეა და ჯაფის ამტანი.

ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე ათას ასი წლის წინათ, როგორც ჩვენი სასიქედლო მეცნიერი ი. ჯავახიშვილი წერს, „მუსკები, ტაბალები და კასკები, რომელნიც მერმინდელ მესხთა, იბერთა და კოლხთა წინაპარი ქართველი ტომები იყვნენ, უკვე პოლიტიკურ ასპარეზზე ჩინან და ხშირად ძლევამოსილ ბრძოლას აწარმოებენ ასურელების წინააღმდეგ“. ამავე ნაშრომში მკვლევარი იმასაც გვამცნობს, რომ „ტაბალები თავიანთი საუკეთესო ჯიშის მაღალი ცხენებით იყვნენ განთქმულნი“.

საქართველოში ცხენის კულტის შორეულ წარმომავლობაზე მიუთითებს აგრეთვე ნიკო მარი, რომლის აზრითაც ჯერ კიდევ ორი ათასი წლის წინათ საქართველოში, თურმე, საგანგებო ჯიშის ბალახიც კი ითვებოდა ცხენების გამოსაკვებად. ქსენოფონტეს ცნობით, ჩვენს წელთაღრიცხვამდე „მეოთხე საუკუნეშიც ქართველ ტომებს ყველა შინაური საქონელი ჰყავდათ — ცხენები, ცხვრები, ღორი და ვირი“...

კონსტანტინე გამსახურდია და ცხენოსნობის რამდენიმე ენთუზიასტი „ლელოს“ ფურცლებზე გამოქვეყნებულ ერთ კოლექტიურ წერილში წერდნენ:

„ისტორიული წყაროები მოგვითხრობენ, რომ ძველ საქართველოში ცხენზე ჯდომისა და ცხენის გაწვრთნის ხელოვნება ძალიან მაღალ დონეზე იდგა. თანამედროვე ტერმინით რომ ვთქვათ, ცხენოსნობის კლასი ჩვენში საგრძნობლად აღემატებოდა ცხენოსნობის კლასს მაშინდელი მსოფლიოს სხვა ქვეყნებში. ცნობილია, რომ ჩვენი წელთაღრიცხვის II საუკუნეში ქართლის მეფე ფარსმანმა და მისმა მხლებელმა რაზმმა, რომლებიც რომში ჩავიდნენ, გააოცეს ადგილობრივი მასპინძლები თავიანთი ცხენოსნობით. ტრიუმფით მოიარა დასავლეთ ევროპის ქვეყნები ქართველ ცხენოსანთა ჯგუფმა ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში. XVIII-XIX საუკუნეთა ავტორები

ავიწერენ ქართველ (აგრეთვე მთიანი კავკასიის სხვა ტომთა) ცხენოსნების მიერ შექმნილ რულებულ ისეთ ხელოვნებას, რომლებიც დღეს ცხენების მიეცა“.

მეძლო თუ არა ადამიანმა ცხენის ყოფითი საჭიროებისთვის შენარჩუნება? მაშინაც კი, როცა ტექნიკურმა პროგრესმა ესოდენ გაგვანებივრა, შეიძლებოდა თუ არა, ადამიანს „ხელი არ ეყრა“ ცხენისათვის, ღვთის ანაბარა არ მიეგლო და კვლავაც შემწე-მეგობრად ეგულა? ცხადია, შეეძლო, ოღონდ ეგაა, იმხანად ფიქრადაც არავის მოსვლია, დაფიქრებულოცო ცხენის მომავალ ბედზე; ისეთი რამ ელონა, რომ ტაიჭი კვლავაც გვერდით ჰყოლოდა, თავდაც ესარგებლა და სხვაც გაეღალღებინა ამ გონიერი არსების სიკეთით.

უნაგვირდნა და ეტლიდან მრავალცხენისძალიან ტექნიკურ საშუალებებზე რომ გადავინაცვლოთ, ავტომობილებით, ელექტრომატარებლებით, უმშვენიერესი გემებით და თვითმფრინავებით გული რომ ვიჭერეთ, წყალში, ხმელეთზე და ჰაერში რომ ვაგზაობდით, სასწაულები ჩვეულებრივ ამბად რომ იქცა, — ისევ გავახსენდა ცხენი, ჩვენი ძველი მეგობარი. ახლა მოტორის გუგუნის სანაცვლოდ ბუნების წიაღში ცხენი სეირნობასა და პირველყოფილი სიმშვიდით დატკბობის წყურვილმა გვძლია და გამოგვაფხიზლა. კიდევ კარგი, რომ ყველაფერი ეს ძალზე გვიან არ მოხდა. კიდევ კარგი, რომ თვით დაჩქარებულმა ტექნიკურმა პროგრესმა შეუწყო ხელი ცხენთან ჩვენს ხელმეორედ დაახლოებას. არადა, ცოტაც რომ დახანებულოყო, საქმე ალბათ იქამდე მივიდოდა, სანთლით დავიწყებდით ადგილობრივი ჯიშის ცხენების ძებნას.

ცხენთან სიახლოვის შენარჩუნება, როგორც ვთქვით, ყოველთვის შეიძლებოდა. ტრადიცია ამგვარი უწყვეტი მეგობრობისა ხომ ჩვენში უკვე ძველთაგანვე იყო დამკვიდრებული და მისი განმტკიცებისათვის სწორედ დღეს უნდა ვიზრუნოთ თავგამოდებით, რათა ჩვენს საქართველოში ათჯერ კი არა, ასჯერ და ათასჯერ მეტი ცხენი გვყავდეს.

თენგიზ გაჩეჩილაძე.

თბილისის სახელმწიფო იურიდიული ინსტიტუტის სსრ სპორტის ოსტატი ვინაილ ტატიშვილი) ბახსნა ცხენთაგამოცდის 1987 წლის სახონი, რომლის დახურვისათვის ა. წ. მატონაშვილი აკვამ განიარაღება ვი-ი საიუბილეო საპავში-რო შეჯიბრება ცხენოსნობის ვეფლა სახეობაში.

ცხენი - ჩვენი უპროსარი

უმდიდრესი ქვეყანაა. ცხენი ქართველ კაცთან იყო მუდამ ჭირსა და ლხინში. ამ ჭკვიანმა არსებამ ვალამაზა, გამძლე და იმედიანი გახადა ჩვენი წინაპრების ცხოვრება. ვინ მოთულის, რამდენი სიმღერა და ლექსი შექმნილა ამ გონიერ არსებაზე... უთუოდ საგულისხმოა ისიც, რომ თვით მემატიანენი და ისტორიკოსები ქართველთა ერთ-ერთ უმთავრეს ღირსებად მათ კარგ მხედრობას მიიჩნევენ. ჩვენი სახელოვანი წინაპარი გრიგოლ ბაკურიანის ძე ამბობს: „ქართველნი ვართ ნათესავნი მხენი და მხედრობითა აღზრდილნი“...

ნენ მათი მერნებიც, მხოლოდ ერთადერთი, სისხლში მოსვრილი ცხენი გაუდგა ხევსურეთისკენ მიმავალ გზა-ბილიკს და გმირების დაღუპვა აუწყა ხალხს.

* * *

საბჭოთა კავშირი დღეს ერთადერთი ქვეყანაა მსოფლიოში, სადაც ყველაზე მეტი ჯიშის ცხენია აღრიცხული. ამ სათვალავში შედის საქართველოში გავრცელებული ჯიშებიც, რომლებიც ოდითგანვე ჩამოყალიბდა და შეეგუა ჩვენს ბუნებრივ პირობებს. თუმცა ცხენი კი დედამიწაზე დღემდე შემორჩენილ ჯიშთა შორის



ეროვნული გიგლიორთიკა
სურათი



ავაკვირდეთ ამ სურათს...
თვალის ერთი გადავლებით, ის, რაც ილიას სახეში გვიზიდავს, ალერსიანი ღიმილია.

ეს დედანის წმინდა ფიციტ შემოწმებული ღიმილი, ბავშვობიდან დაისამდე რომ გულში იძვრის და დვივის, სხვა რამესთან შესადარებლად არ გვემეტება...

სურათს ემჩნევა ილიას განგებიანი შთავგონების მადლი. ამ ღვთაებრივ სახეში მოჩანს განსაკუთრებულად გაცხოველებული მგრძობელობა, სიკეთით აღსავსე გულის ცემა, მშობლიური ხალხის ჭირსა და ლხინზე ფიქრი.

აბა, შეხედეთ ამ განათებულ სახეს, ნაკეთებს, სინათლე რომ გადაჰყვინია და იღუმალი შუქითაა განათებული. განა ამ ნაკეთებიდან არ იღვრება უკვდავი მგონის ნათელი? განა ამ ნაკეთები არ ჩანს სიცოცხლისადმი მკაფიოდ გამოხატული ლტოლვა, რომელიც თითქოს ერთნაირად დაჭიმული სიმებივით ირხევა და ჟღერს?

მიუხედავად ამისა, რა შუქითაც არ უნდა მივანათოთ ამ სურათს, მასში არაფერია ისეთი, რის ტარებას გული ვერ შეძლებს, იუცხოვებს ან თავისად არ მიიჩნევს. სურათიდან გამოკრთის ის სიამავეც, დრამატული ელფერის ჩრდილოვანი ანარეკლისაგან რომ იცავს მას.

აგერ შუბლი — ფართო, ნათელი, შინაგანი შუქით გასხივოსნებული. დიდ ადამიანებში ზოგჯერ სახის მოცულობა შუბლთან იკარგება და მის იერს ამცირებს. თავისი ძალმოსილების სიუხვე ილიასათვის ბუნებას ამ ღიადი და შეუდარებელი შუბლითაც დაუმტკიცებია.

მგრძობელობის შესატყვისი ტონით სურათში თვალს იზიდავს ხელი, რომელსაც სახის მარცხენა ღოყით დაყრდნობია ილია. ეს ხელი სხეულის სწრაფვის, აზრის მოძრაობისადმი მეტი დაკვირვებისა და მისი დანიშნულების ამოხსნის ინტერესს ზრდის. ხელოვნების მშვენიერებას დროის მსახვრელი ძალადობისაგან აი, ასეთი ღონიერი ხელი იცავს.

სურათში წმინდა მღუმარების ასოციაციას აღძრავს სქელ და მეტყველ ბაგეებზე ოდნავ ჩამოფარებული შავი ულვაშები. მათი ერთმანეთთან ასეთი მოხდენილი დაკავშირების მიღმა იგრძობა მძაფრი ვითარებისათვის საგანგებოდ შერჩეული სათქმელი. ეს სიჩუმე არ არის უსიტუაციო სიწყნარე, თქმის უილაჯობა, თვითდანდობის უძრავი რწმენა, იგი გამოკვეთილი ხასიათის მთლიანობაა, ყალყზე შემდგარი სათქმელია, რომელიც შთაგონებას წუთით შეუჩერებია, რათა გული გადაეხსნას და შიგ საამო სიმშვიდის რწმენა ჩავიდვაროს.

ამ შვების მომგვრელ მოლოდინში ისვენებს ინტენსიური ინფორმაციების მძვინვარე ზემოქმედებით მოღლილი და გაუთავებელი ხმაურით გაღიზიანებული ადამიანი. მას საკუთარ თავთან გულწრფელი ვასაუბრება სწყურია იმისათვის, რომ გაფანტოს მძიმე განწყობილების კაეშანი. ძალზე საინტერესოა ილიას თვალეზი-ილიას თვალეზი უდგას ის ნათელი, სულის მალი-მალ ცვალებადობისა და მომავლის ტკივილებსაც რომ ჰვრტს.

ილიას თვალეზი სულის ცვალებადობის დანახვა მისი დიდი შემოქმედების მოშველიების გარეშე თითქმის შეუძლებელია.

გავიხსენოთ ოთარაანთ ქვრივის ის

სიტყვები, რომელსაც იგი მიუწვდომელი სატრფოსაკენ მიმავალი გიორგის შესახებ ამბობს:

— არა, შვილო, შენ გაიხარე... მე კი... ჩემისად მაყურებელ თვალს დავებრძვებ და შენსად მაყურებლითა ვივლი და ვიცოცხლებო.

თვალი ხომ, როგორც ილიამ ბრძანა, სხვის ხედვად სჭრის, მაგრამ მისი ვიწითა და ცრემლით ჩაღამება, უნუგეშობისა და უიმედობის სატკივარს კიდევ უფრო გაამწვავებს.

ოთარაანთ ქვრივი ცრემლითა და ვიწით თვალს არ იბრძვებს. იგი მომავლის ანუ შვილის თვალთ ხედვის იმედით თავის უღმოდელ მარტოობასაც ძლევს.

როცა ილიას ოდნავ მოჭუტულ, ღრმა ფიქრისა და შორს გამიზნული ხედვის გამოხატველ თვალებს ვაკვირდებით, ასე გვეგონია, რომ იგი ახლა ოცნებობს იმაზე, თუ რითი დამთავრდება გიორგის ვატაცება კესოთი, ან კიდევ, დედის გული როგორ გაუმკლავდება მარტოობას და საბოლოოდ ვისკენ გადაიხრება პინა, რომელიც მშობელსა და სატრფოს შუა ქანაობს.

ახლა სახის ნაკეთებზეც ვილაპარაკოთ. მისი თარგი ჭერ არავის გამოუჭრია, მაგრამ ამ მხრივ განუზომელია „განდეგილის“ როლი.

„განდეგილში“ ვგრძნობთ, და ყოველგვარი ჭოჭმანის გარეშე გვჯერა, რომ ილიამ ადამიანის სახის ნაკეთების სითბო და სილამაზე, მზის სხივისა და შუქის მსგავსად რომ ერწყმინა ერთმანეთს, ყველაფერზე მაღლა დააყენა. თვითონ „განდეგილი“ უახლოეს ნათესაობაშია ილიას სახის ნაკეთებთან.

დევს არ იწვევს, რომ ილიას სახის ნაკეთები ბუნებას უმაღლესი ოსტატობით დაუმუშავებია, მისებური მადლის სიმკაცრით შეუკრავს და აუმეტყველებია. მას თვით შური და მტრობა ვერაფერ ნაკლს ვერ უპოვის და მთელ ამ ეპიკურ სახეში გაერთიანებული მაღალი გონება, კეთილშობილება და პრინციპულობა.

შემთხვევითი არ არის, რომ ჟურნალ-გაზეთებში ილიას შესახებ გამოქვეყნებულ თითქმის ყოველ ახალ სტატიას წინ უძღვის არა სხვა რომელიმე, არამედ სწორედ ეს სურათი. და იგი, შეიძლება პირდაპირ ითქვას, არა მარტო ილიას შემოქმედების ჭეშმარიტ გავებასთან გვაახლოვებს, არამედ ამ სურათის მართებულ წაკითხვასაც გვიადვილებს.

როცა ილიას სახეს უცქერით, განა შინაგანი ხმა არ გვიკარხანებს, რომ საკუთარ სულში მოყვარის თვალთ ჩავიხედოთ და იგი უფრო ფხიზელი, წრფელი და მოუსყიდველი გრძნობებით გავამდიდროთ? სიბრძნე და სიკეთე სითბოსა და სინათლესავით განუყრელად ერწყმინა ერთმანეთს. ღმერთმა დაგვიფაროს, რომელიმე მთვანის ჩაქრობისაგან.

მაგრამ რომელმა ღმერთმა? ალბათ იმან, ილია რომ წერდა: ...ჩემი მსაჯული ჩემი ტვინია და ის პატარა ღმერთი, რომელსაც სინდისს ეძახიანო.

ეს პატარა ღმერთი ამ სურათშიც სდუმს, მაგრამ მაინც ყველას ვასაგონად ჰლაღადებსა და ზარის ხმით გუგუნებს — ჩემი მშობელი ხალხი კვლავაც იმაზე დიდი და იმაზე უკეთესი უნდა იყოს, რასაც თვითონ ვარაუდობს და რასაც მისგან სხვები ელოდებიანო.

დომენტი კილაძე



— თალიკო მასწავლებლო, თალიკო მასწავლებლო! — არ აცლიან ერთმანეთს უკვე ჭაღარაშერეული ქალები და ანცი ბავშვებით ცდილობენ, რაც შეიძლება ახლოს მივიდნენ დედასავით თბილად მომიღმარ სათნო ქალთან. სკოლიდან მომავალი პატარები ჩერდებიან და გაოცებით უყურებენ ამ სურათს.

ხმაურით, ყრბამულით მიადგნენ კარს, მერე თითქოს დაიმორცხვეს „ბავშვებმა“ და მოკრძალებით, ფხაკრეფით შევიდნენ ოთახში. იქ მზრუნველ ხელს უკვე მაგიდა გაეწყო. ყველაფერი ძველებურად იყო, ისე როგორც ათეული წლების წინ — მათი ბავშვობის საყვარელი კერძები, დიდი, ლამაზი ტორტი.

— გელოდით, ლენამ ყველაფერი თქვენთვის მოამზადა, — ამბობს თალიკო მასწავლებელი და დას სიყვარულით ეხვევა.

ნორა კანდელაკი მალულად იწმენდს ტრემოს, ნათელა კაშია უხერხულად ასწორებს ფარდას, ქეთო სიხარულით კი მასწავლებელს ოდნავ ეხება თმაზე და ხმამაღლა ამბობს:

— თალიკო მასწავლებელი ისევ ისეთი ლამაზია, მგონი, უბერებლობის საიდუმლო იცის.

— ეს საიდუმლო თქვენგან ვისწავლე, ჩემო ექიმებო. მართლა, როგორ გყავთ შვილები, შვილიშვილები და ავადმყოფები? — სინათლე უდგება თვალებში მასწავლებელს.

— რა უჭირთ, ისინი იზრდებიან, ჩვენ ვბერდებით. აი, თქვენთან კი სულ ბავშვები გვგონია თავი, — ეთერ რატიანსაც ამოიღო ხმა.

იმ დღეს სიყვარულად დაიღვარა მოგონებები.

— გახსოვთ? — დაიწყებდა ერთი, იტყოდა და უმაღლესი მეორე ჩამოართმევდა სიტყვას. ისევ თამარ მასწავლებლის გაცვეთილზე ისხდნენ, ისევ მოსწავლეები იყვნენ და მათ თვალწინ ხდებოდა ომები და

რევოლუცია. იბრძოდნენ, მარცხდებოდნენ ან იმარჯვებდნენ. ისევ თამარ მასწავლებლის სიტბოთი თვალში სხივჩამდგარ ობოლ თანაკლასელს უღიმოდნენ და სათუთად ეხებოდნენ ძვირფასი ადამიანის სახსოვარს.

რთულია მასწავლებლის პროფესია. უსაზომო განათლებასთან ერთად იგი ფსიქოლოგიც უნდა იყოს, არტისტიც და იმის ნიჭიც უნდა ჰქონდეს, რომ კლასის ზღურბლთან დატოვოს საკუთარი უფუნებობა, მერე კლასში შევიდეს და თითოეული მოსწავლის ცხოვრებით იცხოვროს. ასეთი არის თამარ მოსეშვილი.

...დიდი ხანია, შუალაძე გადავიდა. თამარ მოსეშვილი ჩაფიქრებული ზის მაგიდასთან. მისი უმცროსი და — ლენა, ფრთხილად ალაგებს მაგიდას. ეშინია, ხელი არ შეუშალოს. მან კარგად იცის, რითი მთავრდება ასეთი საღამოები. რამდენი დანცდითა და ფიქრით არის დატვირთული ახლა თამარი... ოჯახი ვერ შექმნა, საკუთარი შვილები არ ჰყავს, მაგრამ განა ცოტა ძალა და ენერჯია შეაღია თითოეულ მოწაფეს? განა ნაკლები სიყვარული მოიმეო? მერე რამდენ სასახელო ადამიანს გამოუვლია მის ხელში. მისი მოწაფეები იყვნენ: ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი,

გახსოვთ!?

— თალიკო მასწავლებლო, ახლა მაინც გაგვიხილეთ, როგორ ახერხებდით, რომ ყველაფერი იცოდით ჩვენს შესახებ, — ამბობს ერთი.

— ან როგორ იმასსოვრებდით ყველას დაბადების დღეს. ესეც ისტორიული თარიღები რომ არ იყო? — აინტერესებს მეორეს.

— თქვენ გგონიათ, ეს თარიღები ნაკლებ მნიშვნელოვანი იყო? — ღიმილს ვერ იკავებს მასწავლებელი...

ნინო იორამაშვილი სადაც შორს იყურება, ვიღაცას თურაღაცას უღიმის. მეგობრებმა იციან, რომ მას ახლა ახსენდება თავისი ბედნიერების დღე. ლამაზი, პეპელასავით ქალიშვილის შემოფრენა საქორწინო სუფრაზე, თალიკო მასწავლებლის გამოგზავნილი თაიგული და სახსოვარი რომ მოართვა. მაშინ ათქვეც ლამაზი გაუხდა ის საღამო.

— გახსოვთ?! გახსოვთ? — კვლავ ისმის დაუსრულებლად.

პროფესორი ნიკო ჭავჭავაძე, ექიმი ჯიმშერ ანთელავა, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი გურამ მირიანაშვილი, მასხიობი დოდო ჭიჭინაძე, მფრინავი დავით გარსევანიშვილი, ცნობილი პედაგოგი მანანა კობახიძე, მსოფლიოში პოპულარული მომღერალი პაატა ბურჭულაძე. ეს სია შესაძლოა, უსასრულოდ გაგრძელდეს.

მაინც რა სწრაფად გაიბრინა დრომ, თითქოს გუშინ იყო ოცდაათიანი წლების ქუთაისი, რევოლუციური რომანტიკით აღსავსე ხანა, მოსეშვილების დიდი ოჯახი და მისი უფროსის განსაკუთრებული სიყვარული ისტორიისადმი, რომელიც ასე გადამდები აომონდა თამარისათვის. სტუდენტობის განუმეორებელი დრო, მერე ომი, შიმშილი, გაჭირვება და ბავშვობადაკარგული მოსწავლეები, რომლებიც იმედით შესცქეროდნენ თავიანთ მასწავლებელს.

ყველაფერს ასწრებდა. აგიტატორიც იყო, პროპაგანდისტიც, დეპუტატიცა და მეთოდისტიც, სტუდენტ-პრაქტიკანტებსაც ხელმძღვანელობდა და თავადაც გამუდმებით სწავლობდა. დამსახურებულადაც დააჯილდოვეს „საპატიო ნიშნისა“ და „შრომის წითელი დროშის“ ორდენებით, მიანიჭეს საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლის წოდება.

— თალიკო, ადექი, მოისვენე, საცაა გათენდება, ხომ იცი, ხვალ სკოლაში უნდა წახვიდე, — მორიდებით შეეხმინა და.

თამარი ჯერ შეკრთა. მერე კმომედ წამოდგა. მართლაც, ხვალინდელ დღეზე ხომ უნდა იფიქროს. მას უხმობს მშობლიური 24-ე სკოლა, სადაც ოთხ ათეულზე მეტია ილუწის, სადაც კვლავ სიხარულითა და სიყვარულით გაფართოებული თვალები ელიან.

ირინე კუპავა.

იუმორესკა

ხლა თქვენ მეცნიერების ეპოქალური მიღწევის მოწმე გახდებით, — მითხრეს ხაუტნიერი კვლევიით ინსტიტუტში. — ჩვენ ვისილავთ თანამედროვე მეცნიერების ტრიუმფს.

გერმეტულად იზოლირებული შენობის მინის ტიხრის მიღმა შუა ადგილას თვალი მოვკარი უხვი სასმელ-საჭმლით სავსე მაგიდას. კარი გაიღო და შენობაში კაცი შემოვიდა, მაგიდას მიუჭდა, ახლოს მიიდგა შემწვარი თევზი და მაღიანად დაუწყო ჭამა.

— აი, ხედავთ! — საზეიმოდ განაცხადა ექსპერიმენტის მონაწილე პროფესორმა. — ეს ნამდვილი რევოლუციაა ქიმიის დარგში.

ამასობაში კაცმა თევზი მიირთვა და ქვაბიდან, საიდანაც ორთქლი იფრქვეოდა, მათლაფაზე წვა-

ნი. დაისხა, კოვზით მოხვრობა და მოწონების ნიშნად თავი გაიქინა.

— აი ხაოცრება, — ისმოდა ალტაცებული ხმები ჩემს ირგვლივ. — ქიმიამ გიგანტური ნახტომი გააკეთა. რაც თქვენ თვალწინ ხდება, ხანგრძლივი და გულმოდგინე ძიების შედეგია, რომელიც ბოლოს წარმატებით დავგვირგვინდა. კაცმა წვენიც რომ შეხვრია, თევზზე ბევრტექნიკად მოიღო და უშმატა მოხარული კარტოფილი და უფრო ახლოს მიიდგა ნახვდაჭირი პამიდორის საღათა.

— ეს ძალიან გემრიელი ჩანს, — აღმოხმნდა უნებურად. — შესაშური შადით შეეჭყვავა..

კაცმა ბევრტექნიკა გადასანსლა და სახე ნეტარების ღიმილმა გაუბადრა.

როცა ტკბილეული და ჩაიც დააყოლა, თანაც ტუნები ქაღალდის ხელსახოცით მოიწმინდა, ყველანი მიხვდნენ, რომ იგი ნეტარების მწვერვალზე იმყოფებოდა.

— დიხ, ჩვენი ქიმიკოსები უმაღლეს ქებას იმსახურებენ! — გაისმა ირგვლივ.

კაცი წამოდგა მაგიდიდან და შეუმჩნევლად გავიდა ტიხარიდან.

— აბა, რას იტყვით ამის თაობაზე? — მკითხეს მოუთმენლად.

— განსაკვიფრებელია! წარმოუდგენელია! — წამოვიძახე ალტაცებით. — უბრალოდ დაუჭირებელია, რომ ასეთი რამ შეიძლებოდა... ერთი სიტყვით, ყველა პროდუქტი, რაც კი მაგიდაზე ელაგა, ხელოვნურადაა შექმნილი ქიმიურ ლაბორატორიაში, არა?

— რას ბრძანებთ! — გაიოცეს ირგვლივ. — პროდუქტი სრულიად ჩვეულებრივი გახლდათ, ნატურალური. მხოლოდ აი ის კაცი კი, პოლიქრონიდისიან დამზადებული გახლდათ.

იანუზ ოსენაა,
(კოლონოტი)



ფოტო ვლადიმერ გულიაძისა.



„...და თეატრის-თვის შეიქმნა...“ — პოპულარული სიმღერის ამგვარი პერიფრაზით შეიძლება, მაგალითად, ლაპარაკი საოცრად ნიჭიერად დადგენულ ქართველზე. საგაზეთო რეპორტიორობით რომ დაიწყო პროფესიული ცხოვრება, გადართო მწერლურ მოღვაწეობაზე, შემდეგ — კინო-

საქართველოში



სერგეი ობრატოვი და რევაზ გაბრიაძე.


ნოდრამატურგიაში დაამტკიცა თავისი, როგორც კომედიური უანრის სცენარისტის დიაპაზონის უსაზღვრობა და ლიმონ-სიცილის დალოცვილ შაგის იგი დღემდე არ დალატობს... მისი სახელი მჭიდროდ უკავშირდება თანამედროვე ქართულ გრაფიკულ კარიკატურასა და საოპერო ლიბრეტოებს. უაღრესად ხალისიან მისეულ ლიტერატურულ პროდუქციას სინქრონულად მოჰყვება საქვეყნოდ აღიარებული რეჟისორული კასკადი მხატვრული, დოკუმენტური, მულტიპლიკაციური ნაღვანისა დიდ და მცირე ეკრანზე და, უცებ... დიას, უცებ აღმოჩნდა, რომ სწორედ თეატრისთვის შექმნილა, თურმე, რეზო გაბრიაძე.

„დროშის“ მკითხველისთვის ინტერესმოკლებული როდი იქნება, გავაცნოთ რამდენიმე ლიტერატურული პასაჟი ეურნალ „დრუშა ნაროდოვ“-ის (№ 1, 86) ფურცლებზე გამოქვეყნებული ვენიამინ სმეხოვის მასალიდან, სწორედ ამ ქართველ შემოქმედს რომ ეძღვნება. პუბლიკაციის სათაურია „მეხეტრო გაბრიაძის ზურმუხტები“... ავტორს, აღბათ, მხედველობაში ჰქონდა ფერი შემოქმედებითი ძიებისა და მიღწევათა გაუხუარობისა, თბილისში გაჩენილი და დავუკაცებელი ციციწა, აუურული თეატრალური დახი რომ აღწევს. ნამდვილი სახეაულია! და რაკი ასეა, ჩვენც ვისარგებლებთ ამ ცნებით.

ხელოვნებას დრო და დრო გაფრენის ეინი ალიტაცებს ხოლმე. არც ისე დიდი ხნის წინათ დასავლეთში ერთმა „გადაუფრინა გუგულის ბუდეს“, ჩვენშიც მცირე რამ როდი განუსახიერებიათ „გაფრენებს სიზმარსა და ცხადში“...

შუქი საკუთარ თავს ჩრდილის მეშვეობით შეიცნობს, განშორებანი აღამაღლებენ შენვედრათა ღირებულებას. იუმორი — სეველის თეატრის მაყურებელია, დასვენება — გამრჯე კაცის ერთგული მეგობარი.

ფილოსოფოსი მხრებს აიჩეჩავს, ეს რა უბირი ვილაც გველაპარაკება, ორჯერ-ორი რომ ოთხია, არ იცისო... მე კი ვუპასუხებ: ნუ ჩქარობ... მე ვიცი, რომ მართალი ხარ, მაგრამ ახლა, უმჯობესია, გა-



ჩუმდ. დღეს — იუმორის ჯერია, რად-
გან... ორჯერ-ორი შვიდი ყოფილა. დაგი-
მტყიცოთ?... ინებეთ.

მრავალნი (და მეც) ორ ხმაში სიმღე-
რას მთელ პრობლემად, სამ-ოთხ ხმაზე
კი — თითქმის ფანტასტიკად მიიჩნევენ.
მაგრამ რეალურობა — ფანტასტიკის ძმა
არის და, ამიტომაც, არსებობს ქვეყნიერე-
ბაზე იმ ხალხის ქვეყანა, ვისთვისაც შვიდი
ხმაზე ვალობა სწორედ რომ ორჯერ-ორის
გამოწვევას უდრის. ესმენიათ ქართული
შვიდხმოვანება? ჩვეულებრივი სასწაუ-
ლია. აი, როგორ გამოითვლება შვიდი ორ-
ჯერ-ორიდან და აღარ გვინდა კამათი, ფი-
ლოსოფოსო!... შენ მართალი ხარ!... ყვე-
ლანი ვეჭიღებით სიცოცხლეს. ყველას
გვათბობს მემკვიდრეთა იმედის სხივი.
ერთმანეთთან გვაკავშირებს მოწიწება წი-
ნაპრებისადმი... არაფერი არც კვდება და
არც რაიმე წარმოიქმნება არაფრიდან
ეს ბრწყინვალე აზრი კრძალვით გამოვიტ-
ვალე ენერჯისა და ნივთიერების შენაზ-
ვის მატერიალისტური ფორმულიდან...
და თუ ვინმეს სურს ეჭვი შეიტანოს ჩემს
მყიფე განსწავლულობაში, ამაყად გადა-
ვუხურავ აკადემიკოსის ნააზრვეიდან ნა-
სესხები ციტატი: „მზე, სიცოცხლე და
ქლოროფილი“. მოკლედ, ჰემმარიტ ღი-
რებულებათაგან არაფერი კვდება ანუ,
არაფერი კვდება იქ, სადაც გაჩენის წამი
იზიდა მზემაც, სიცოცხლემაც და ჩემთვის
უცნობმა, მაგრამ ერთობ სიმპათიურმა
ელემენტმა ტიმირაზოვის სისტემისა. მე
დავრწმუნდი თეატრალური ოპტიმიზმის
უკვდავებაში თბილისის მარიონეტების
თეატრის სპექტაკლებზე.

აჰ, რარიგ ბედნიერი დამთხვევაა: თეა-
ტრი: თბილისი: გაბრიადე... მოდით, გა-
ვერკვეთ, პუნქტების მიხედვით.

1. თეატრზე ლაპარაკით მოიქანცნენ
მოყვარულნიც და სპეციალისტებიც: „კრი-
ზისშია!.. იგი ისეთ კრიზისშია, რომ თა-
ვად კრიზისიც, ვგონებ, იტანება თეატრ-
ზე დარღობით. თუმცა, თავად თეატრმა გა-
დაწყვიტა სასწრაფოდ გასცდეს ამ განც-
დებს, სანამ მისი დარღობის სხეები იტან-
ებინ, რადგან იგი — თეატრი, მარადიუ-
ლია და მშვენიერი! იქნებ ჩვენც, მისმა
თავყანისმცემლებმაც აღარ ვიმტვრიოთ
თავი იმაზე, თუ როგორ გადავლახოთ კრი-
ზისი და როგორ დავაბრუნოთ ლალი სუნ-
თქვა იქ, სადაც თეატრი იყო?

იქნებ საჭიროა პირი ვიბრუნოთ იქით-
კენ, სადაც იგი ნამდვილად არის?
ნიჭი ბუნებით ჩენილია. კი უღარიბდება
საბადოები, მაგრამ მაინც ახერხებენ ახალ-
ახალი ჭაბურღილების გაყვანას, ჩვენი
რეგლამენტაციების მიუხედავად. მოვიდა
გაზაფხული, მაშ უმკურნალებ ბებერ ხე-
ებს, გაუფრთხილდით მათ მასაზროლებელ
სიცოცხლის წვენს, ოღონდ, ნუ გამოვრ-

ჩებათ უმთავრესი სიმდიდრე — ახალი
ბუტკო, ახალი ყლორტები. ახარდასთვის
დახარჯეთ ასე უქმად თქვენ, ჩამოყალიბე-
ბულმა თეატრალებმა, ამდენი ენერჯია
მიმხმარი ფლორის გასალამაზებლად?
უვარგის, ოღონდ სახელგანთქმულ თეატ-
რებზე დაწერილ სტატიებში გამოყვანილი
სიმწვანე — ქალაქის სიმწვანეა. სინთე-
ტური ფოთლოვანის ორანჟერეა — აი
თქვენი ძეგლიც, ნებაყოფლობით თვალ-
ახვეულო თეატრმცოდნენ!

თეატრი ისეთი სარკული მეურნეობაა,
სადაც მრავალფეროვნად, მაგრამ აუცი-
ლებლად ცოცხლად, ნამუსიანად და ხა-
ტოვნად აირეკლება დღევანდელი ყოფიე-
რების მთავარი თემები: სიკეთე და ბო-
როტება, სიცოცხლე და სიკვდილი. ის-
ტორია და ხალხი... რაოდენ ბედნიერი შე-
ნაერთია და რარიგ ტკბილია გამეორება
სიტყვებისა: თეატრი... თბილისი... გაბრიადე...

2. თბილისის შესახებ:

საქართველოს დედაქალაქია მეთორმე-
ტე საუკუნიდან. 11 უმაღლესი სასწავლე-
ბელი. მეცნიერებათა აკადემია. 16 მუზე-
უმი. ბოტანიკური ბაღი. მდინარე მტკვა-
რი. მეტეხი. 10 თეატრი. მათ ჩვენ კიდევ
დავებრუნდებით. საკოლმეურნეო ბაზარი.
არის გარკვეული ნაკლოვანებები. მთელს
ღუნიაზე გაუთქვამს სახელი ისეთ აქაურ
ღირსეებს, როგორცაა: ქალები, მამაკა-
ციები, ბავშვები. მწვანელი. რუსთაველის
სახელობის თეატრი. ხინკალი. მარჯანიშ-
ვილის სახელობის თეატრი. საცივი. პან-
თეონი. საჭაპური. კინოსტუდია. სიმღე-
რები. ქუჩები. სახლები. ძველი ქალაქი.
პოეტები. ცეკვები. ზეცა... ინებეთ! ამბო-
ბენ, ერთ სახელგანთქმულ ინდოელს ქა-
ლაქისთვის მთიდან რომ გადმოუხედავს,
უთქვამს, „თბილისი დამით — გადმობრუ-
ნებულ ცის კაბადონიაო!“

ვფიქრობ, ჩემი ბრალი არ არის, მაგრამ
თავად ზეცამ ასე ინება, რომ ამ თემზე
ლაპარაკისას, ერთობ მწვავედ განიცდი
სიტყვების დეფიციტს.

ვფიქრობ, სწორედ ასე ინება ზეცამ,
რომ სწორედ ამ მხარეში ადამიანები არ-
ტისტებად იბადებინ. კეთილ ადამიანებ-
ზე ვლაპარაკობ. დიან, ვფიქრობ, — ზეცამ
ინება-მეთქი ასე და მთაბეჭდილებათა
კარნავალს არ გააჩნია ანტრაქტები მო-
წყენილობისა და გულსევდიანობისთვის
თბილისში.

მთა გადმოჰყურებს ქალაქს. ვარსკვლავ-
ებს შესციცინებენ ვარსკვლავები. კამ-
კამებს ვარსკვლავი შავთელის ქუჩაზე:
მარიონეტების თეატრი. დაახლოებით 50
მაყურებელი. დაახლოებით 10 მსახიობი.
დაახლოებით ხუთი წელია, განუწყვეტ-
ლივ ილტვიან აქეთკენ თეატრის მოყვა-
რულები. და ვფიცავ ზეცის მადლს! —

ვინც კი იხილა ამ თეატრის მუშაობა, არა-
სოდეს დაივიწყებს და ნეტარებულნი გახდება
ორებს: თეატრი... თბილისი... გაბრიადე...

ციცქნა დარბაზის პირველ რიგში ვზი-
ვარ და კარგად ვხედავ, ერთდროულად,
თოჯინებსაც და „უზენაესთაც“. ათობით
ძაფში განზღანდულან თითები. შავი ხა-
ვერდის ხალათებში გამოწყობილი პირ-
მშვენიერი, შავვერემანი მსახიობები თით-
ქოს არც ინძრევიათ. მათი ხელებისა და
თვალთა მოძრაობები მშვიდია და მეფუ-
რი. და როდესაც თეატრის ჯადოსნური
ზარდაზმის ფსკერზე მსახიობთა ამგვარი
მზერის ქვეშ დარბიან, ფრენენ, ჩხუბობენ,
მღერიან ან კენესიან გაბრიადის გმირები,
ასეთნაირად მესახება: მატარებელი მიგ-
ვაქროლებს, ჩამავალი მზე კი მეფურად
მშვიდია... თითქოს არც ჩვენ ვაყურბი-
ვართ მას და თითონაც, ჩვენ, თითქოს, „ამ
ძაფებით გვათამაშებს...“

•••

შევცქერი დარბაზში მყოფთ და ვხე-
დავ: სულმოუთქმელად უკრავენ ტაშს.
შინ აღარ უშვებენ მსახიობებს. როგორც
ერთი, ისე იქცევა ყველა მაყურებელი.
ეს აღტაცება, ეს მადლიერება — თეატ-
რალურ შემოქმედთა მარადიული ოცნე-
ბაა. ჰო, ასეთი ცხოვრება მხოლოდ თე-
ატრს ახასიათებს. იტყვიან, ზღაპარიაო.
მე კი ვუპასუხებ: ნაღდად, მართალი ბრძა-
ნებაა. ოღონდ, თუ ასეთი ჰქვიათ ხარ,
შენც აიღე ეს ზღაპარი და წადი, გადააქ-
ციე სინამდვილედ, როგორც ამას სიმ-
ღერაში გკარნახობენ... და განა ჩვენ კი
ასე გვჭირდება შეგონებანი ან ევკლიდუ-
რი ჩიჩინი მაშინ, როდესაც სული გვიმღე-
რის? როდესაც გული გვიფრთხილებს სი-
ხარულსა და თანამოზიარეობისგან ჰემ-
მარიტი ზელოვანის ხილვისას? განა გო-
ნიერი კაცი კი მოჰყვება ტვინის ჰყლეტას
„შვიდხმოვანების ფორმის“ საიდუმლოს
გასახსნელად იმ მომენტში, როდესაც ყე-
ლიდან თუ ზეციდან ღვთაებრივი ჰანგები
იღვრება? ადამიანის ფანტაზიის ცოცხალი
ვარსკვლავები მეოცნებე ასტრონომისთ-
ვისაა შექმნილი. ჩვენ — სასწაულის მო-
წყენი ვართ და ვემალიერებით სწორედ
მოვლენას ამა სასწაულისას!

•••

თუკი თავსატეხ ალგორითმებად განვა-
ლაგებთ, თუკი დავტვირთავთ საპროგრამო
მანქანას ისეთი მონაცემებით, როგო-
რიცაა დარბაზის ხარხარი, ოხვრა და სლუ-
კუნი, შემახილი „ბრაგო!“, აღტაცების
ხესტები და ასე შემდეგ, მანქანა სიამოვნ-
ებით გვიპასუხებს ყველა „რატომ-ზე“.
„იმიტომ, რომ ასეა საჭირო!.. იმიტომ, რომ
სიყვარულია! იმიტომ, რომ ასეა ლამაზი
და კარგი!.. და უთუოდ მთავარი მიზეზიც
არის ის, რომ ნეტარებით ვიმეორებთ:
თეატრი — თბილისი — გაბრიადე!“



ლაპრენტი ზიჟინაძე გვიჩვენებს სანიტარის სა-
ბავშვო ნაწარმების ავტორს. დღეს იგი
ოთხმოცი წლისაა. შუაწელ „დროის“ სარე-
დაქცეო კოლეგია, თავის მრავალრიცხოვან
მკითხველთან ერთად, უსურვებს მწერალს
ჯანმრთელ სიცოცხლეს და შედეგად შემო-
კვეთაღი სიხარულს.



ენიონი
ზიჟინაძე

ლაპრენტი ზიჟინაძე

ამქდარი უღარდელად,
მით უმეტეს, წამოწო-
ლილი დღისით, მზისით,
არავის უნახავს ვა-
ლიყო.

შრომით სულდგმულობდა.
ეუბნებოდნენ ხოლმე: მოსხვენიო,
საქმე არ შემოგვიღიაო?

ვალიკოს ამის პასუხი მზად ჰქონ-
და: საქმე ღმერთმა ნუ გამოიღიოსო.
თან სახეზე ისეთი იერი დაედებოდა,
თითქოს გაჭავრდაო. უხიტყვოდ იგრ-
ძნობოდა: ეს როგორ შეადრეო! ბო-
ლოს სიტყვებსაც მოადევნებდა:
საქმეგამოღებული ხალხი, იმ სერ-
ზეაო!

გაიშვრდა ხელს ზემოთქენ.
მაინც, რა ამისთანა ხალხის საქ-
რებულო იყო იმ სერზე?.. სამარადი-
სოდ განსვენებულნი!

თავისი სიტყვის კაცი იყო ვალი-
კო. რასაც ამოიჭრიდა გულში, მის
შესასრულებლად თავს აღარ იზო-
გავდა. გულში კი არ ჰქონდა ჩამა-
ღულ-ჩახვეული, საუბარს ისე არ
დამათავრებდა, რომ ის არ ეთქვა.

რა იყო ეს ასე წარამარა სათქმელი
სიტყვა?

აი, რა: სწავლა-განათლება, რაც მე
დამაკლდა, ჩემს შვილებს უნდა ავა-
წავლავებინო.

თვითონ კი სოფელში ერთ-ერთი
პირველი გახლდათ კოლმეურნეობის
ჩამოყალიბებაში. ყველაზე ადრე გა-
წევრიანდა. მეზობლებსაც ურჩევდა:
თუ კოლმეურნენი გახდებით, ღა-
რიბები აღარ გვეყოლებათო.

ვალიკოს სიტყვა მარტო უმცრო-
სებმა და მისმა თანატოლებმა კი არა,
უფროსებმაც გულთან მიიტანეს.
დაარსდა კოლმეურნეობა.

ამას რომ ხელმძღვანელი უნდოდა.
არჩიეს, არჩიეს!

ხან ვინ დაასახელეს თავმჯდომე-
რედ, ხან ვინ!

ბოლოს ერთი ხანდაწმული კაცი
წამოედგა და თქვა:

— ამ საქმის ყველაზე გამოჩენი-
ლი თაოსანი ვალიკო იყო და, თუ
თავმჯდომარედ მას ავირჩევთ, თავს
არ შეირცხვენს, საქმეს მოუვლისო.

— კარგიო, — წამოიძახეს.

აირჩიეს.

ვალიკო მარტო თავმჯდომარე კი
არა, ყოველ საქმეში, რასაც სოფე-
ლში წამოიწვებდნენ, პირველი ბარის
დამკვერელი ის იყო.

სიყვარული?
ნდობა?

უნდა ითქვას: ვალიკომ ორივე
დამისახურა. ამის დასადასტურებლად
გამოდგება ის, რომ მის სახელს მარ-
ტო როდილა წარმოთქვამდნენ. წინ

კიდევ ერთი გულის გამბობი სიტყ-
ვა დაუმატეს.

— ჩვენი ვალიკო, ჩვენი ვალიკო!
— დიდი და პატარა ასე მიმართავდა.
ვალიკოსათვის დღეები უფუჭნე-
ვად ილევოდა.

დღეები კი არა, წლებიც!
ხანდახან იტყოდა ხოლმე: ეს წე-
ლიც რა უცებ გაფრინდაო.

ამ წელთა ფრენაში სამი შვილი —
ერთი გოგო და ორი ბიჭი მხარში
იმედად ამოუდგნენ ვალიკოს, შე-
უმსუბუქდა საოჯახო საქმიანობა.
ერთმა დამათავრა საშუალო სკოლა,
მერე — მეორემ, მესამემ, და ვალი-
კომაც მათ უმაღლეს სასწავლებლის-
კენაც ასე თანრიგობით გაუკვლია
გზა.

გზა გაუკვლია-მეთქი, ვამბობ, მაგ-
რამ ეს გზა თვითონაც არ იცოდა
კარგად.

შვილებს უკვლევდა გზას და აი
როგორ.

ერთ დღეს...

შუა ზაფხული იყო.
ვალიკო თბილისში ესტუმრა ბე-
შვობაში ერთად თანშეზრდილ ბიძა-
შვილს. ამ მოულოდნელი სტუმრო-
ბით გაკვირვებული მასპინძელი ცყი-
თხება:

— ვალიკო, როგორ გადმოგიცდა
ფეხი ჩემქენ?

— დუტუს უნდა უმაღლოდე, —
მიუთითა თანმხლებ შვილზე. — და-
ამათავრა საშუალო სკოლა. ახლა
უმაღლესში აპირებს გამოცდების
ჩაბარებას. ჩემო ლევან, იქნებ გამო-
ცდების დროს შენთან იქნეს ბინად.

— ვალიკო, არა გრცხვენია? იქ-
ნებ, რა სათქმელია. აბა სხვაგან რო
წაიყვანო, მე ხომ მომეჭრა თავი.

— ჰოდა, მეც ამიტომ გავბედე
შენთან მოსვლა.

— გასაბედავი აქ არაფერია, მაგ-
რამ ეს რა ამბავია? — მიუთითა
სავსე ხურჩინზე.

— აბა, ხელცარიელი ხო არ წა-
მოვიღოდი. ერთი პატარა კასრი ღვი-
ნოც მომქონდა, მარა დამეკარგა.

— კაცო, ეგ შენი პატარა კასრი,
ნემსი ხო არ იყო, როგორ დაკარგე?!

— გაიკვირვა ლევანმა.

— ტრამვაიში დამჩრა.

— თუ შენ მართალს ამბობ, სად
წავა. აუცილებლად ვნახავთ.

— მე ტყუილი არ ვიცი.

— ჰოდა, წავიდეთ!

იქ მივიდნენ, სადაც ვალიკო პირ-
ველად ჩაქდა ტრამვაიში.

ვალიკო ამბობს:
— ის ტრამვაი არ შემეცვლება,
ვაგონის ნახევარი მწვანეა, ნახევა-
რიც წითელი.

ჩაიარა ერთმა ტრამვაიმ, მეორემ,
მესამემ...

და აი, ვალიკო იძახის:
ესაა, ესაა. ეს ტრამვაი იყო კონ-
დუქტორი ვიცანი.

ლევანი მიდის კონდუქტორთან,
ეუბნება:

— აქ, სოფლიდან ჩამოსულ ჩემს
ნათესავს...

კონდუქტორმა კარგი ნაცნობივით
გაუცინა და სიტყვა აღარ დამათავ-
რებინა:

— ღვინო დარჩა, არა?

— სწორედ ეგ უნდა მეთქვა.

— აგერაა. არავის წაუღია.

ვალიკოს ისე გაუხარდა, აღარ იცო-
და, როგორ გადაეხადა მადლობა.

— ღვინო თქვენი იყოს, ბატონო,
ოღონდ ჭურჭელი კი მომეცი. ნათ-
ხოვარი მაქვს...

— ღვინოც შენია და ჭურჭელიც.
წაიღე, შესვით და მადლეგრძელეთ!

— უთხრა კონდუქტორმა.

— ცარიელა სადღეგრძელო რა
ბედენაა, თორემ თქვენი სადღეგრ-
ძელო ჩემს ოჯახში სხვა დროსაც
დაიღევა.

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა.
მოსუცდა ვალიკო.

მოსუცდა არის და მოსუცია!

ღრმა მოსუცია.

ახლა ის ბიჭი, თბილისში რომ
ჩამოიყვანა, საპროექტო ინსტიტუტ-
ში მუშაობს, სარწყავი არხების პრო-
ექტებს ადგენს. მისი დაპროექტებუ-
ლი სარწყავი არხები მარტო ჩვენში
კი არა, უცხოეთშიცაა.

ექვსი წელი არაბეთში იყო.
დაოჯახებული კაცია.

ლევანიც მოსუცდა, მაგრამ ჭერ-
ჭერობით მაინც ჯანმრთელადაა. ვა-
ლიკოს მიმე ავადმყოფობის ამბავი
რომ გაიგო, სანახვად წავიდა.

კარი დუტუმ გაუღო, შეეხალისა:

— ო, ბიძია ლევან, მობრძანდით!

— სად არის ჩემი ვალიკო? —
ლევანმა უწინარეს ყოვლისა ძველი
მეგობარი მოიკითხა.

— აქაა. ახლავე გამოვიყვან. თქვენ
აქ დაბრძანდით! — დიდ ოთახში
მაგიდასთან დასვა ბიძია ლევანი.

გვერდით ოთახის კარი გაიღო.
გამოჩნდა ვალიკო.

ჭერ ისედაც არ იყო მაღალი,
ახლა სულ ერთი ნამცეცა ჩანდა. ორ
ჯოხზე დაყრდნობილი მამა ძლივს
მომჰყავდა დუტუს.

— ოო, ვალიკო, როგორა ხარ? —

მიეგება ლევანი.

ეს მუდამ მოძრავი კაცი, რომ ასე
დაჩაჩანაკებული დანახა, შეეცოდა-
თვითონაც ხმა გაეზარა. ლევანი გა-
ნგებ იცინოდა ვალიკოს გულის გა-
სამაგრებლად. იცინოდა, მაგრამ
ცრემლი უზინავდა თვალებში.

ვალიკოს პასუხისათვის არ ეცადა,
ფიქრობდა, არ წავიქციო, ხოლო,
როცა დაქდა, მაშინ თქვა:

— აი, ასე ვარ.

— ახლა არა გიშავს, — აიძვებდა
ლევანი.

— ჰო, რომ დავჯდები, კაცს ჯან-
მრთელი ვეგონები. ე-ე, რა დრო წა-
ვიდა. მე და ეს საუკუნე ერთად და-
ვიბადეთ. ახლა ოთხმოცდაშვიდი წე-
ლია. მეც ოთხმოცდაშვიდისა ვარ.
ეს საუკუნეც იღევა და მეც ვიღე-
ვი. არა ვარ დაღუული თუ?

— შენს თავსაც ისაა, ჩემო ვალი-
კო, რაც ყველას თავზე. ვაპატარავ-
დებთ. აი ხომ მხედვე, აღარც მე
ვარ იმხელა, ადრე რომ ვიყავი.

— შენ რა გიშავს, არც არაფერი
უნდა გაგიჭირდეს. შენ, ჩემო ლევან,
იმდენი კარგი საქმე გაქვს გაკეთებუ-
ლი, დიდახანს უნდა იცოცხლო.

— ვალიკო, ერთი შენ ის მომიყე-
ვი, ეს ყმაწვილი რომ ჩამოიყვანე
თბილისში, რა მოხდა მაშინ, გახ-
სოვს?

გაცივდა ვალიკომ.

— იმ დღეს რა დამავიწყებს.

დაიწყო ისევ იმ დაკარგული კას-
რის ამბავი. დროდადრო ჩაურთავდა
ხოლმე: სიცოცხლევ, რა ძვირფასი
რამა ხარო!

ლაპარაკში ისე გაერთო, თავისი
უძღურებაც კი გადავიწყდა.

— შენ, ჩემო ვალიკო, ისე კარ-
გად ლაპარაკობ, ნუ გემინია, კიდევ
კაინანს იცოცხლებ.

— რა მიჭირს, — ისე ომახიანად
თქვა, თითქოს მართლაც არაფერი
უჭირდა. — მეხსიერება, აზროვნება,
მხედველობა, სმენა, ყველაფერი ძვე-
ლებურად მაქვს. არაფერი მაკლია.

ერთი იმ მომავალ საუკუნესაც მო-
ვესწრო, მეტი არაფერი მინდა.

დუტუმ, გვერდით რომ უჭდა,
გულლიად წამოიძახა:

— მამა, შენ ისეთი გულისა ხარ,
ეს ნატვრა აგისრულდებაო.

ვალიკო კვლავ თავის სანუკვარ
სიტყვებს იმეორებს:

— ო, სიცოცხლევ, სიცოცხლევ.

რა ძვირფასი რამა ხარ!

„ივერიის“ ფურცლებზე

ეგობრობისა და ძმობის დიდი ქაღალცი ილია ჭავჭავაძე მჭიდროდ იყო დაკავშირებული აზერბაიჯანულ ხალხთან. პირადად იცნობდა მოწინავე აზერბაიჯანულ მწერლებს, რომლებიც იმხანად ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ თბილისში. ესენი იყვნენ მ. ფ. ახუნდოვი, მ. შ. ვაზე-პი, ძმები უნსიზადე, მ. შაჰტახტილი, ჯ. მამედო-ვლუზადე, ფ. კოჩარლი, რ. ეფენდიევი, პ. მინსა-ზოვი, ა. სური... ისიც არაა დასაფიქსარი, რომ ილიას შესანიშნავი ლექსი „გაზაფხული“ ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იან წლებში ითარგმნა აზერბაიჯანულ ენაზე.

ერთი სიტყვით, ილიას სახელი ახლობელი იყო აზერბაიჯანული მკითხველისათვის. იცნობდნენ მას, პატივსაცემად სცემდნენ.

ილია მუდამ იმას ცდილობდა, ერთიმეორესთან როგორმე უფრო დაეახლოებინა მოძველი ლიტერატურათა წარმომადგენლები. ამის ცოცხალი მაგალითია გაზეთი „ივერია“.

„ივერიის“ ფურცლებზე ფართოდ იბეჭდებოდა აზერბაიჯანული ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშები, მ. ფ. ახუნდოვის შემოქმედებისადმი მიძღვნილი წერილები, მირზა შაფი ვაზეპის აფორიზმები. დიდი ადგილი დაეთმო ვასაგ მადათოვ-ნაზიმის ვოდევილებისა და ა. ადიგოზალოვის რომანის „ძლიერი ქარის“ („გარაელი“) განხილვებს.

ვაზეპმა თავისი ცხოვრების გარკვეული მონაკვეთი თბილისში გაატარა (ცხოვრობდა ამჟამინდელ წერეთლის გამზირზე, № 16 სახლში). აქ მან დააარსა ლიტერატურული წრე „დივანი-პიემეტ“ („სიმბრძნის თავშესაყარი“).

ამასთან ერთად, ვაზეპი აზერბაიჯანულსა და სპარსულ ენებს ასწავლიდა თბილისის გიშნაზიაში, სადაც შემდეგ სწავლობდა ილია ჭავჭავაძე. სახელი მირზა შაფისა, რომელსაც თავისი დიდი პოპულარობით აღარებდნენ გენიალურ სპარს პოეტს ჰაფიზს, გასცდა სკოლის კედლებს. ამას კარგად გრძნობდა ილია ჭავჭავაძე, რომელმაც, როგორც ზემოთ ითქვა, „ივერიაში“ ფართოდ გაუღო კარი მის შემოქმედებას.

ვაზეპის ბრძნული გამონათქვამები „დამაკვირდი“, სისტემატურად ქვეყნდებოდა გაზეთის ცალკეულ ნომერებში. მის გვერდით იბეჭდებოდა სხვადასხვა ხალხური ანდაზები და უკვდავ მწერალთა აფორიზმები. კერძოდ, ფსევდონიმი მირზა შაფი აღმოჩნდა ევროპისა და აღმოსავლეთის ისეთ კორიფეებთან, როგორც იყვნენ პიერ კორნელი, ჯორჯ ბაირონი, პიერ ჟან ბერანე, ვიქტორ ჰიუგო, ფრიდრიხ შილერი, უილიამ შექსპირი, ჩარლზ დიკენსი, აბულგასიმ ფირდოუსი, საადი შირაზი, ამირ ხოსროვ დაჰლევე.

ნიმუშები, რომლებიც დაიბეჭდა გაზეთ „ივერიის“ ფურცლებზე, ადასტურებენ, რომ მირზა შაფის აფორიზმები გამოირჩევიან მაღალი შინაარსით, აზრით, მოუწოდებენ ხალხს სიკეთისაკენ, გულწრფელობისაკენ, ცოდვისაკენ.

საინტერესოა ისიც, რომ ამ აფორიზმების შინაარსი ხშირად მეორდება მის ლექსებში. ასე, მაგალითად, აფორიზმი: „ყველაფერი შეიძლება მამისაგან გადაეცეს შვილს, გარდა ბედნიერებისა. ბედნიერება შენ თვით უნდა დამისახურო“ („ივერია“, 1899 წ. № 52).

ახლა გადავხედოთ პოეტის ერთ გაზელს. პოეტურ სტრიქონებში ასე ამოიკითხება ეს აზრი: „შვილი მამის სახელს ირგებს ქუდად, ქამრადაც, სიმდიდრე კი იქცევა ხშირად ოხრად, არმადა. მხოლოდ ბედნიერების გადაცემა არ ხდება...“

ილია ჭავჭავაძე განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობოდა ყველას, ვინც თავისი შემოქმედებით ხელს უწყობდა ხალხთა ურთიერთ დაახლოებას. „ივერიაში“ აზერბაიჯანული მწერლების ასე გულუხვად ბეჭდვაც სწორედ ამითაა გამოწვეული.

შურადინ გამელოვი.

საქართველო



● მსოფლიო კიდევ ერთ დღემდე გაუგონარ დელიკატეს უმადლობს საფრანგეთს — ბადის ლოკოკინის კვერცხებს! ვინც კი იგემა, ამტიციებს, ბაყაყის კვერცხებს წააგავს და გამოირჩევა მწარე ნუშის სურნელით და გაურკვეველი გემოთით. მაგრამ ამ „სასუსნაზე“ ფასი უკვე მყარად დადგინდა — კილოგრამი ღირს სამი ათასი ფრანკი. ახალი კულინარიული სასწაულის საკმაოდ უცნაური გემოს მიუხედავად, ფეშენებელური რესტორნები ერთმანეთს ეჯიბრებიან ლოკოკინის კვერცხების მომზადების რეცეპტურის გამრავალფეროვნებაში. ზოგიერთი ყოჩაღი ფრანგი უკვე ქონების მოხვეჭის მარტოდენ იმედით კი აღარ სულდგმულობს, არამედ ფრთხილად ასხამს მიზანს — მაგალითად, ცნობილმა მწარმოებელმა ალენ შატიონმა გამართა ბრწყინვალე ფერმა, სადაც 300 ათას ლოკოკინას ზრდის.

სურათზე: განთქმული პარიზელი გასტრონომი ვოდრა და მსხვილი მწარმოებელი შატიონი რეკლამას უკეთებენ ახალ გასტრონომიულ სასწაულს.



● სამოცდაათიანი წლების დასაწყისში გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში აღირიცხებოდა დაახლოებით 250 ათასი ცხენი და მიანდათ, რომ ეს ცხოველები ძალიან მალე სრულიად ზედმეტნი უნდა ყოფილიყვნენ ადამიანისთვის. მაგრამ, ბოლო ხანს, ამ ქვეყანაში საცხენოსნო სპორტის ქემპარიტმა ბუმმა იფეთქა: მოყვარულთა რიცხვმა უკვე ერთ მილიონს გადააჭარბა. მასობრივმა ჰობმა გამოიწვია ის, რომ შეიქმნა მთელი ინდუსტრია, რომლის წლიურ ბრუნვაშიც სამ მილიარდ მარკაზე მეტი თანხა ჩაირთო. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში უკვე აშენებენ ახალი ეროვნული ჯიშის ცხენებს, რომელთაც საოცრად კარგად იღებენ მსოფლიო ბაზარზე. ნამდვილ აყვავებას განიცდიან საწარმოები, რომლებიც უშვებენ ალკაზმულობებს საცხენოსნო სპორტის განვითარებისთვის, სცემენ 12 სპეციალიზებულ ჟურნალს, იზრდებენ ცხენოსნურ ასპარეზობათა რიცხვს და მატულობს ტოტალიზატორების თანხებიც.

● აონაკოს პრინც რენეს უმცროსი ქალიშვილი სტეფანი გვირგვინი ცეკვნა სამთავროს მდიდარ სტუდენტთა მარათოვის მომხიბვლელ ნიჭით. ნაღ ითვლება. თავდაპირველად, მსოფლიოს უმდიდრეს დისკოკლუბებში გაითქვა სახელი, როგორც „ლამის პრინცესამ“, შემდეგ — ფოტომოდლობაც იკისრა; შექმნა საბანაო კოსტიუმთა საოცრად მოდური კოლექცია. ალხან კი, შოუ-ბიზნესშიც ჩაერთო — თავისი პირველი ფირფიტა „ქარიშხალი“ რომ მოისმინა თვითონვე განცვიფრდა, აბა დღემდე ვინ დამაჭერებდა, სიმღერაც თუ შემეძლო.

სურათზე: პრინცესა სტეფანი — ფოტომოდელი.



● კიორჩინის კუნძულების იმ ნაწილში, ბრიტანეთის თანამეგობრობას რომ ეკუთვნის, ფართო სარგებლობაშია განმარტებულ მომღერალ მაიკლ ჯექსონის პორტრეტის სავოსტო მარკების სერია. ეს პატივი წილად ხვდა მომღერალს გრამფირფიტათა სარეკორდო რაოდენობის გამოც, აგრეთვე, მისი უშრეტო საქველმოქმედო მოღვაწეობის აღსანიშნავად. კუნძულების ხელისუფალთ, როგორც წესი, ევალუბრდით ყველა სავოსტო მარკაზე მიეხედვით ინგლისის დედოფლის პორტრეტს, მაგრამ ამჯერად ბუკინგემის სასახლემ უარი განაცხადა ტრადიციულ გაფორმებაზე. ახალ სავოსტო მარკათა სერია მაიკლ ჯექსონის პრივილეგირებით აღინიშნა.



რენე კლერს, ცნობილ ფრანგ კინორეჟისორს და კინოდრამატურგს, ჩვენი მკითხველები იცნობს ფილმებით — „პარიზმა დაიძინა“, „პარიზის სახურავებზე“, „დიდი მანევრები“.

საზღვარგარეთური ნოველები

ვენიამონ სანოვი

— საკმაოდ მამაკაცურად, და როზალია — ოდნავ სოფლურად. მაგრამ სახელი როზინი, მოულოდნელად, ბუნდოვნად ამოუტივტივდა გონებაში, და აჩქარდა იმ ბგერათა ასაქურებად ერთ ხმოვანებაში, ესოდენ საამუხრად რომ მიესადაგებოდნენ იმ არსების სახეს, რომელსაც როზინი უწოდა. არსება მისთვის დარჩება როზინად, ვიდრე თვითონ არ ეტყვის კლოდს თავის ნამდვილ სახელს, ვიდრე მისი ბავენი არ გაუმხელენ პირველ საიდუმლოს. შემდეგ კი, შემდეგ... ორივენი გულისხმობდნენ იცნებდნენ ამ შეხვედრის განსვენებაზე.

ნითაც, არსება ოდესმე ამ ნიუანს რომ გაუმხელს! „ჰო, ისე ვიჭერდი თავს, ვითომ ვკითხულობდი, სინამდვილეში კი შენზე ვფიქრობდი. ვინ ხარ? მხოლოდ ერთი რამ ვიცოდი: ჭაბუკი ხარ და მომეწონე.“ გენიალურად ვითარდებოდა ყველაფერი, სანამ თვითონ იგონებდა შეკითხვებს და პასუხებსაც საკუთარ ცნობიერებაში ხატავდა, მაგრამ სინამდვილეში, ცხადად ხმა რომ ამოეღო, სულ სხვა საქმე იქნებოდა. მატარებელმა შეანელა თუ არა სვლა, არსებამ ფანჯარაში გაიხედა, შემდეგ მისი მხერვა ჭაბუკის მხერვას შეხვდა, და მან გაუღიმა კლოდს. მერე ისევ წიგნის კითხვა განაგრძო. და ისეთი უმანკო იყო ეს ღიმილი, ისე წააგავდა იტალიური მადონას ღიმილს, რომ კლოდი საკუთარ

მაგრამ, დახარა თუ არა თვალები, კლოდმა უცებ შენიშნა, რომ არსება მალულად იხილა ფეხზე. ცალი ფეხი ჩუმად გამოძვრა ვიწრო ფეხსაცმლიდან და სავესტი რომ განთავსდებოდა ფუტლარიდან, კლოდიც პირდაპირ მონუსხა აბრეშუმის წინდის ბზინვამ მუხლამდე. მან წარმოიღვინა მთელი ამ გამჭვირვალე ბილიკის სვლა კაბის ქვეშ და გაწითლდა. მსგავსი საქმეების გამოცდილება კლოდს არ გააჩნდა, მაგრამ წაკითხული ჰქონდა რამდენიმე რომანი. უკვე ხედებოდა, თუ რას ნიშნავდა გადახდილი ლოგინი, მიხურული დაარბა, გაწეწილი თმა, მოხვეული ხელები, და ახლა უკვე აღარ შეეძლო, უარი ეთქვა ამ ხილვებიდან ნასესხებ განათებაზე, დეკორაციებზე, რათა მათი მოშველებით შეთავებრა სული ღვთაებრივი ლანდისთვის.

ლო არ არის სწორედ ის, ერთმანეთს რომ შეხვდნენ და ერთი მატარებლით გამოემგზავრნენ, ბარგი რომ ჰქონდა და წამლები კი არ ჰყავდა: და უკვე, ამ აზრზე შეჩერდა. მაშე არსებამ ვერ იპოვა ბარგის წამლები, თუ ეს ორი მძიმე ჩემოდანი როგორღა შემოიტანა სადგურზე? ესე იგი, ვილაც აცილებდა. მაგრამ ვინ? რასაკვირველია, მამაკაცი. მაშასადამე, არსება პარიზიდან სწორედ მასთან, შეყვარებულთან შესახვედრად ჩამოსულა! „არა, არა, ძვირფასო... შენს თავს ვფიცავ...“ — სიმართლე მითხარი. მირჩევნია, ყველაფერი ახლავე ვიცოდე. სიცრუე ხომ შენდამი ნდობას დამიკარგავს.“ — ცოტა თავი ვანძრე. მამაკაცს რომ გამოვეცილებინე, რა, ჩემს ჩემოდნებს ვაგონში აღარ შემოიტანდა?!

ლიწინადა! ხომალდი მალე ზღვაში გავა. როზინი ტირის. მაშ ასე, დასრულდა მშვენიერი ზღაპარი. კლოდს კვებ უყვარს. რატომ? განა შეიძლება ჯან მობრუნდეს? არსება ჩურჩულებს: „ჰო, ჟს. გილოდი... ვიცოდი. ყველაფერი თავდება. არაფერი არ შეიძლება გაგრძელდეს მარადიულად“. და აი, როზინი უნდა გამოემგზავროს. კლოდი კი აქ დარჩება. სძულს საკუთარი თავი, ვეღარ იტანს იმას, ვინც დაივიწყებს როზინს. კლოდი უტყვირის მიმავალ არსებას. მუშას მისი ორი ჩემოდანი მიატებს და ისინიც იკარგებიან ბრბოში, შენელებული მატარებლის სვლის მსგავსად რომ გუგუნებს.



ვითური არსება... ყოველ შემთხვევაში, კლოდს ასე მოეჩვენა. განა რამდენი უნდა მოისურვოს ჩვილმეტი წლისამ, ოცნებათა ზვირთებში რომ განდევნას? სადგურის პერიონზე პარიზისკენ მიმავალ მატარებელს ელოდა კლოდივით. ნაღვლიან პარიზელი იყო. ჩაცმულობით, თავდაჭრით, ძალდაუტანებლობით... კლოდს არ შეეშლებოდა. თან, ჩემოდნებიც რომ სულ არ მიუგავდა პროვინციელისას.

მატარებელი ჩამოდგა თუ არა, იმან ერთ-ერთი ჩემოდანი აიღო. კლოდი მიეჭრა.


— ნება მომიცით... იმან მადლობა გადაუხადა და ვაგონში შევიდა. იმის სუნამოს არომატით გაბრუნებული კლოდი უკან მიჰყვა. კუბე, სადაც ლეითური არსება შევიდა, ცარიელი იყო. — ამ პროვინციულ სადგურებში, — თქვა იმან, — ვერასდროს მოძებნი ბარგის მზიდავს.

— ჰო, ეს მეტად საწყენია, — დაეთანხმა კლოდი და იქვე იწინა კიდეც უნდა ეთქვა, სწორედ ამის გამო ვარ დიდად მონარული, რადგან ტვირთის მზიდავის არყოფნამ საშუალება მომცა, თავი გამოემჩინაო. თუმცა, ძალიან გვიან კი მიხვდა ამას.

ანაზღად იმის მოპირდაპირედ დაჯდა იქნებ ეკითხა, ხომ არ იყო წინააღმდეგი? მაგრამ მიუხედავად კი? რასაკვირველია, უპატივცემლობა არ მოეწონება. მეორე მხრივ, ზედმეტი თავზაიანობაც არ ღირს. გზაში თითქმის ორ საათს ერთად იქნებიან, ორი საათი კი — დიდი დროა გამოცნაურებისთვის. აჩქარდები — ჩავარდები.

მატარებელი დაიძრა. რაკი იფიქრა, ვითუ ჩემი დაყინებული მხერვა არ ეპიტნავოსო, კლოდმა ისეთი გამომეტყველება მიიღო, თითქოს ფანჯრის მიღმა პეიზაჟმა მიიპყრო მისი ყურადღება. მაგრამ ამ ლეითური პარიზელი ქმნილების სახე მაინც არ სცილდებოდა: მოგვლავდა ველმინდვრებზე, გორაკებზე მოფარფარებდა და როდესაც გაეცირებოდა ზოგიერთი ნაკვითი, კლოდიც მოდელს ელვისებურად ჰპარავდა იმას, რაც დააკლდებოდა ხოლმე პორტრეტის სისრულისათვის. ქმნილების სახე კლოდს ჰპაპამისის კაბინეტში დაკიდული გრავიურის შუა ალბეჯილი იტალიურ მადონას მოაგონებდა: გრავიურა უსახლგრო სიწმინდის სიმბოლოდ მიაჩნდა კლოდს. და აი, ახლა, ციურ მადონას მსგავსად, მოგზაური არსებაც არამიწიერი ეგონა.

ვინ არის? კლოდს საშინლად სურდა, ქმარგაყრილი ან ქვრივი ყოფილიყო. მაგრამ, ვაგიგონია?... ისეთი ახალგაზრდაა. საქორწინო ბეჭედიც არ მოუჩანდა — მარცხენა ხელზე თათბანი ეცვა. გვერდით დაედო შავი ხვერდის ჩანთა, რომელზეც კლოდმა პატრონის ინიციალები ამოიკითხა. პირველი ასო იყო „რ“, და კლოდიც შეეცადა ამოეცნო, თუ რა სახელი იმალეობოდა ამ ნიშნის მიღმა. ყველა სახელი ჩამოთვალა, რაც კი უმაღლესად მოაგონდა... გადაჭრით უარყო სახელი რაიმონდა — საკმაოდ მარტივად მოეჩვენა, რობერტი



ქალიშვილი წიგნის კითხვამ გაიტაცა და სულ არ იგრძნობოდა, კლოდმა ოდნავ მაინც რომ მიიპყრო მისი ყურადღება. მაგრამ იქნებ თამაშია ეს, ისეთივე თამაში, რომელსაც აგრძელებს თვითონ კლოდი, ვითომდა, სულაც არ აინტერესებს არსება? აუჰ... რამხელა ნეტარებას განიცდის უკვე იმის ოდნავი წარმოდგენა

თავს გაუბრაზდა ატეხილი ოცნებების გამო. რა სიგიჟეა! არსება ხომ არასოდეს ეტყვის „შენ“. არც არასდროს ერგება ბედნიერი უფლება, შეისუნთქოს ის სურნელი, სახელ „როზინს“ რომ მოჰყვება. და ამ სითამამის გამო საკუთარი თავის დასასჯელად, გადაწყვიტა, მეტად აღარ შეეხედა არსებისთვის.

არსება

ოდესმე, ორ კოცნას შუა ნაპოვნი წამის შეასვლებაში, გამოუტყდება არსებას, თუ რამხელა თავაშვებულობისაკენ უბიძგა მისი ფეხის ხილვამ. „საძაგელო ბიჭო! — წამოიძახებს იგი. — მაშინ, მატარებელში, ისეთი სათნო, ისეთი წესიერი ჩანდი! გულიც კი მწყდებოდა, რომ ვერაფრით გაბედე ჩემთან დალაპარაკება.“

„შენ თვითონაც დიდად როდი მაქვზებდი!“ — და მართლაც, ვითომ არაფერიო, განაგრძობდა კითხვას. მაგრამ კლოდმა საკუთარ თავს შეჰფიცა, როგორც კი წიგნს გვერდზე გადადებდა, მუსიკის გაუბამდა და მგზავრობის დასასრულსაც ორივეს ეგონებოდა, რომ უკვე ძალიან დიდი ხანია იცნობდნენ ერთმანეთს. როზინს სახლის კარამდე მიაცილებს, და მეტიც არაფერი... ამ საღამოს ნამდვილად მადლიერი დარჩება თავზაიანი პატვისციემისათვის, მაგრამ კლოდს ხომ ვნების ელვისებური დაკმაყოფილება კი არა, დიდი სიყვარული სწყურებდა — ნამდვილი ტრფობა, ჯერ სიცოცხლეშიც რომ არ უგემებია. იმას კი?

„მეც ასევე! აბა, ვინ იფიქრებდა, რომ ასე პატარა ბიჭი თავს გამაცნობდა?“

აქ კი, თქმა არ უნდა; ზოგიერთი წინააღმდეგობაც წამოიჭრება: ლიცეუმში, სადაც კურსი უნდა დახტოვოს, მშობლები, ვისთანაც ცხოვრობს, ფული, რომელიც არა აქვს. მაგრამ, განა რომანების გმირები კი კრთებიან მსგავსი სიძნელეების წინაშე?

„კარგი, წინასწარ თავს ნუ იტყუებ! ჩვენ ხომ სხვა არაფერი გვეწყურია, გარდა პატარა ოთახისა ჰერკვემ... ისლის ქონი მინდორში...“

თუკი ერთმანეთი უყვართ, შეუძლებელიც არაფერია. სიყვარული სასწაულებს ახდენს და განა პირველი სასწაუ-

ამ უძვირფასეს სხეულს მხოლოდ და მხოლოდ ქსოვილი იცავს. და კლოდიც ფიქრობს ყველა იმ ხიფათზე, უბედურ შემთხვევაზე, სნეულებასზე, ადამიანის სიცოცხლის რომ ეშუქება. „უმჯობესია, იმ ნეტარებაზე იფიქრო, ჩვენ რომ მოგველის“, — ჩაილაპარაკაო, თითქოს, არსებამ და აქაც ნამდვილად არ ტყუილა.

წიგნი მუხლებზე დაედო. აი, სწორედ ახლაა ლაპარაკის დაწყების მომენტი. კლოდმა იგრძნო მღელვარება მსახიობისა, რომელიც პირველად გადის სცენაზე. ფაციფულით მოძებნა გონებაში რამდენიმე სიტყვა და უკვე მზად იყო მათ წარმოსათქმელად, რომ დაინახა — როზინმა თავი უკან გადასწია და თვალები დახუჭა. ღიმილის ოდნავმა სხივმა გაუნათა სხე ქალიშვილს. იქნებ დახრილი ქუთუთოებიდან უმზერს კლოდს? იქნებ თავს იკატუნებს კიდეც, ვითომ თვლემს, სინამდვილეში კი ფიქრობს, რა სულელი ყოფილა, როგორ არ ისარგებლა შემთხვევით და არ მომიჯდაო გვერდით?! ანდა, თუკი ყველაფერი პირიქით არის, სწორედ სხვის ხილვით არ ასვენებს და ვილაც სხვის ალერსზე ოცნებობს?

კლოდმა თვალები დახუჭა. შეეცადა როზინის მოქცევას საკუთარ ოცნებასთან, და თითქმის უმალვე წარმოუდგა იგი ისეთად, როგორც წარმოედგინა და როგორც მოსწონდა: ახლობლად და გამგებანად — სხეულთა და ბუნებრივად, თურმე არავითარი საიდუმლო რომ არ ამძიმებს. კლოდის გვერდითაა. მის ხელს ეფერება. გაზაფხულის მზაუნა წვიმაში წიკისებს და ყინვისგან ლოყები დაბარწვია თოვლის ნამქერში. ერთიანად ოქროსფრად შერუჭულა რომელიღაც უცნობ კოსტაობს მთლად ზოვის ნივარებით მოფენილი ნავისადგომის ხეივანში. სირენა გაჰკვივის ხომალდის ხილურზე. მის გვერდით რა სწრაფად გაიფრინა მთელმა წე-

ალტაცებული წამოდგა კარის დასაკეტახდ. და აი, მაშინლა დაინახა მწვანე ამხამული ბეგრად საშიში სასუქებელი სხეული: რამდენიმე ნაბიჯზე კონტროლიერი გამოეცხადა და მისმა იერმა უმალ გამოაფხიზლა კლოდი. ავი სულ დაავიწყდა, პირველი კლასის ვაგონით რომ მგზავრობდა, სადაც წედან მონუსხული შემოჰყვა პარიზელ ასულს. და აი, ამ შავად გამოწყობილმა კაცმა თუ შეამოწმა, მხოლოდ მეორე კლასის ბილიკის წარდგენადა შეუძლია.

რა იღონოს? სიყვარულის სახელით წინაულდგეს წესებსა და კანონებს? მიჯნურის თვალთა წინაშე აიტანოს შეურაცხმყოფელი საყვედური, დამცირება, როდესაც დაიწყებენ ოქმის შედგენას? კლოდი დერეფანში გამოვიდა, შემდეგ ავბედითი უნიფორმის ავლით ფეხაქრეფით გადავიდა ვაგონიდან ვაგონში... ასე დასრულდა მისი პირველი სიყვარული.

თქვენ მეტყვით, უფრო ადვილი არ იყო სხვაობა გადაეხადა და უკვე თამამად დარჩენილიყო თავისი როზინის გვერდით? რასაკვირველია, ასე აჯობებდა კიდეც, მაგრამ, ნუ გავიწყლებათ, რომ ჩვილმეტი წლის ჭაბუკებს საერთოდ იზვიათად აქვთ ხოლმე ზედმეტი ფული, და კლოდიც, რასაკვირველია, არ გამოირჩეოდა. იმასაც მეტყვით, მატარებლის ჩამოდგომისას ხომ შეეძლო, დასწვოდა სატრფოს. დაახ, ასეც მოიქცა ლეითურმა არსებამ აჩუქა ღიმილი. კიდეც ერთი... უკანასკნელი. მაგრამ... მისი ჩემოდნები მუშამ წაიღო.

თარგმან ვასილ ბეველინიძე.



მ

ავის სიცოცხლეში ეს მეორედ იყო დედაჩემი ოჯახური ზეიმის მთავარი მოქმედი პირი. ერთხელ, როცა პატარძლად იჭდა ნეფის გვერდით და, ეს მეორედ, როცა შვილებმა და შვილიშვილებმა იმდენი ქნეს, რომ დედობისა და მეოჯახეობის სამოცი წლისთავი აღუნიშნეს.

ჩემი უფროსი დის ოჯახში შევიყარე-ნით ერთად შვილები და შვილიშვილები, სიძეები და რძალი. ერთი წინწყლებიანი ჩითის საკაბითა და მოსახვევით, ახალგა-მოცემული წიგნითა და ლელას გამომცხ-ვარი ვეება ტორტი, ჩვენი ვენახის წვე-ნითა და ჩემი უფროსი სიძის წარმოქ-მული დაუვიწყარი სადღეგრძელოებით გალამაზდა დედაჩემის დღეობა.

სამადლობელ სიტყვაში დედაჩემმა გა-იხსენა თავისი ახალგაზრდობა. ავი ბევრი ჰქონდა მოსაგონარი, კარგი კი ცოტა. გა-ჭირვება ბევრი უნახავს. რა იყო მევენ-ახის შრომა? არაფერი! არ შეგვეცივნოდა და ხორცი არ გამოგვეჩინოდა, იმდენს გვაკმევდნენ და ვვახურავდნენ. რაც კი დედაჩემზე იყო დამოკიდებული, არა გვაკლდა რა. წინდა ვაგვიცვლებოდა? შთარღვევდა თათსა და ქუსლს და ახლად მოადგამდა. ჩხირები იყო და მატყლის ძა-ფი. ტანზე ერთმანეთის გამოხაცვალს გვა-ც-მეგდა. ასე რომ, მე, სულ უმცროსი, კა-ფანდარა ვოგო, ჩემი დების გამოხაცვალ-ში გავიზარდე.

ჩვენმა უფროსმა სიძემ ისეთი სად-ღეგრძელო თქვა, საწყალ დედაჩემს გუ-ლი აუტირდა: ერთი ისეთი ვინმე მყო-ლოდაო, ერთი რვეულით შემშველებოდა, ნახმარი ტანსაცმელი ეჩუქებინაო. მაგრამ სხვა რაღა ჰქონდა, დაუმატა, ყველანი ერთ ტაფაში ვიწვოდითო.

იმ გაჭირვებაში დედაჩემმა მაინც შეი-ლო, უფროსი შვილი ქალაქში სასწავლებ-ლად გაეგზავნა. მამაჩემს დასცინოდნენ, თურმე, ჩვენი უბნის კაცები: დედაკაცის ჰქუანზე რას დიდხარ, ქალს რა სწავლა უნდა, შიმშილით კუჭი ვიხმება, მაგისი ხარჯის თავი გაქვს, ვინ დაგიფასებსო? იმათ რა პასუხს აძლევდა მამაჩემი, არ ვი-ცი. სახლში კი დედაჩემს საყვედურობდა ხანდახან. მაგრამ ჩვენი ოჯახის „პირვე-ლი ვიოლინო“ დედაჩემი იყო და, ვისაც რა უნდა ეთქვა, არაფრის დიდებით შვილს არ გამოიყვანდა „მედიკური ტექ-ნიკუმიდან“.

ბოლო კეთილია!.. ამ რწმენით ცხოვ-რობდა დედაჩემი. მისმა შვილებმა იმაზე მეტი განათლება მიიღეს, რამდენსაც იგი ოცნებითაც კი ვერ წარმოიდგენდა.

ახლა შვილიშვილების განათლებაზე მი-დგა საქმე. სახელისთვის თავს იკლავდა. ისწავლო, იმსახურო უბრალოდ და შენი მოვალეობის ერთგული იყო. პატივისცე-მით სარგებლობდე გარშემო მყოფთაგან ეს როდი აკმაყოფილებდა დედაჩემს. მის შვილებზე საქებარი სიტყვა უნდა ეთქვათ გაზეთში. ამით კი გულს დაეაკელით. ყვე-ლანი ჩვეულებრივი, რიგითი მოქალაქენი

დავდექით. უსახელობისგან დმერთმა დაგ-ვიფაროს და, არც რამ ისეთი შეგვიქმნია, რომ საქართველოს ჩვენზე ელაპარაკა.

— სახელი, შვილო, სახელი, ბებია გე-ნაცვალოთ, წამდაუწყუმ ჩასჩინებდა შვილიშვილებს.

იმ წელიწადს ჩემმა დისწულმა საშუა-ლო სკოლა დაამთავრა წარჩინებით და ოქროს მედალი მიიღო. დედაჩემი, ვისაც შეხვდებოდა, ნაცნობსა თუ ნათესავს სი-ამაყით ეუბნებოდა: ჩვენმა ბიჭმა ოქროზე დაგვიმთავრა სკოლაო.

სახელის მორტფიალე, ხშირად ახსე-ნებდა ხოლმე თავის შორეულ ნათესავს, მიხა ჩოდრიშვილს, სახელგანთქმულ ქე-იმს გზრიშვილს — ერთად გავიზარდე-ნითო, ბავშვობაში ერთად გვითამაშია ეზოშიო.

ჩვენ რომ კარგები და ნასწავლები გა-მოვსულიყავით, დედაჩემი ზოგიერთ დე-დასავით გვერდით კი არ გვეჭდა. გვეყა-და მასწავლებელი სკოლაში, გვეჭონდა წიგ-ნი, რვეული, მელანი და კალამი.

დავზარდა და ჩვენ ქვეყნის სხვადა-სხვა კუთხეში დავითანტენით. აბა, ვის ეამებოდა მარტობა (მამაჩემი უკვე აღარ იყო). მაგრამ დედაჩემმა ხელი არ შეგვი-შალა. ჩვენც მალ-მალე ვნახულობდით ხოლმე. ქალაქურ სურსათ-სანოვავეს ჩავუ-ტანდით, რძე-მანვის ფიცსაც დავუტო-ვებდით. იჭაურობას ძირითდირამდე დავუ-წყრიალეზდით და ისე უკანვე გამოგუყ-ვებოდით გატენილი ჩანთით ქალაქის გზას.

მალე მობერდა. მარტობა თანდათან გაუძნელდა. ამიტომ ზამთარში ქალაქში ჩამოგვეყავდა. ქალაქური ცხოვრება ძალია-ნაც ენაშუშებოდა, მაგრამ რა ექნა. თავი-ნი ეზო და ბოსტანი ერჩია, მაგრამ ჩვენ შევეუშვით ყურებში მისი კენესა? ჩვენ როგორც გვეხერხებოდა, ისე ვცხოვრობ-დით. როცა დრო გვექნებოდა, როცა მო-ვიცილიდით, მაშინ წავიყვანდით სოფელში.

საბრალო, ხშირად ვაგვაგონებდა ხოლ-მე ილიას სტრიქონებს: ჩემს სიცოცხლე-ში სულ შენს ნებაზედ მითამაშნია.

ჩვენი დაუწერელი კანონით ვაყია ფუ-ძისშვილი. იმას ევალება, დარჩეს ოჯახში და დედ-მამას მოუაროს.

ბალობაში მეხუმრებოდნენ ხოლმე: კოყანდარი შენა ხარ, დედ-მამა შენ უნდა შეინახო. მე ეს საქმე საძნელოდ არ მი-მაჩნდა, რადგან სიტყვა „შენახვა“ ვიწ-რო მნიშვნელობით მესმოდა. თუ რამ კარგი გვექონდა სახლში, კამოდის გრძელ უჯრაში გველაგა. იქა გვექონდა შენახული „ახალი აღთქმა“, „ყაზბეგიანი“, ნათლის ნაჩუქარი ოქროს ჯვარი, დედაჩემის ლე-ჩაქ-ბაღდადი, მამაჩემის საგარეო ახალუ-ხი. დედ-მამის შენახვას რა უნდა, ვფიქ-რობდი, ერთ უჯრაში დედაჩემს ჩავაწვენ

და შევინახავ, მეორეში — მამაჩემს შეი-ქი. რა იყო, რა მიმარბენინებდა მაინც ქა-ლაქისაკენ. სახლი მეგულებოდა, იქ თუ ეზო-კარი? უჩემოდ განა უჭირდა ამ და-ლოცილ ქალაქს?

ვერ დავეტიე ჩემს სოფელში? დედა-ჩემმაც მამატი, ახალგაზრდულ გატაცე-ბად ჩამითვალა ეს. ეგონა, რომ ძიებაში ვიყავ, ჩემი ადგილი უნდა მეპოვა ცხოვ-რებაში.

ისე ვაკლდი დედაჩემს, ისე ვაკლდი, როგორც ჰაერი, პური, წყალი. თვეში ერ-თხელ ჩავდიოდი სოფელში პარასკეობით. იმ დღეს დედაჩემი წითელ პარასკევს ეძახდა. აუცილებლად დამახვედრებდა ჩემთვის სასურველ ბოსტნეულსა თუ მხა-ლეულს. ახლა რა გემრიელ საქმელს აკე-თებდა, არ იკითხავთ?

ვაწვალეთ მარტო დარჩენილი მშობე-ლი. ერთ გაზაფხულზე ველარ წავიყვანეთ. არ გვეცალა, და შუაზაფხულში, როცა შევებულება ავიღეთ, მაშინ ვაღირსეთ თა-ვისი ეზო-კარის ნახვა. მიწა უყვარდა დე-დაჩემს. მიწა ჩემი დედ-მამაო, იტყოდა თავის დარგულ, დაზრდილ და ნაპატივებ ხეხილს ეფერებოდა. მიწას ფიქრში ეზო-დიშებოდა: ვაი, სადა გყავს კაი პატრო-ნო, თორემ უკუღმა რომ თესლი ვის-როლო, წაღმა ამოდის და მოსავალი ერთი ათადა ხვავდებოაო. ჩვენი ბოსტნის მიწა ეგეთია, სასუქი არ აკლია და მზე.

მიწის შვილი იყო დედაჩემი. ერთი უყნოსე, გოგო, რა სული აქვსო, მეტყო-და ხოლმე ყვავილზე. სწამდა რომ ყვა-ვილს სული ჰქონდა, მარტო სურნელება კი არა, სული!

თავის ეზო-ყურეში სულ საქმე ჰქონდა. ქალაქში კი რას ვაკეთებინებდით, არა-ფერს. მოდი, დედი, ვისადილოთ-მეთქი, ვეტყოდი, აბა, შვილო, თქვენ შრომით დაღლილები ხართ და საკმელიც შეგერგე-ბათ. მე კი არა გამიკეთებია რაო. და, დიდი-დიდი, ორიოდღე ლუკმა შეეჭამა.

და ერთ გაზაფხულს, როცა ჩემი უთქმე-ლი დედის სოფელში წაყვანას ვაპირებ-დით, წავიყვანეთ კი არა, წავასვენეთ...

წვანან ახლა დედაჩემი და მამაჩემი სოფლის სასაფლაოზე. ისე როგორ ჩავი-დოდი სოფელში, რომ დედ-მამის საფლა-ვი არ მენახა, სარეველა არ მომეშორებინ-ა ყვავილებისათვის. უკვე ალერსიც აკლია ჩემს კეთილ დედ-მამას. წუთისსოფელში საფიქრალმა ლამის ორთავენი დაძვი-წყოს. ლამის კი არა, ეგრეა.

ახლა მე დედაჩემზე უფრო საბრალო ვარ. მას, მიცვალეზულს, დავეხვიენით შვი-ლები და შვილიშვილები, მოვუარეთ და ვავაპატიოსნეთ. დაუმარხავი ვინ დარჩე-ნილა, მე რომ დავრჩე. მაგრამ სად, ის, შენი შვილი რომ მიგაცილებს ბოლო გზა-მდე...

ხშირად მომენტურება დედაჩემი, ჩავი-ხედავ სარკეში და დავინახავ მას: მე ხომ საოცრად ვგავარ დედას გარეგნობით... ხოლო სულით? სულით ის ჩემზე ბევრად ძლიერი იყო.

ლალი მარტაშვილი

ზაფხული თბათვიდან იწყება. ამ დროს უდიდესი დღეებია: თოთხმეტი საათის განმავლობაში მზე ცაზე არ შორდება, მზის ჩასვლიდან ამოსვლამდე ძლიერ ცოტა-ლა დრო რჩება; კაცს ჯერ ერთი პირი ძილი არ გაუთავებია, შეხედავ — მზემ აღმოსავლეთიდან ამოაშუქა. რამდენადაც უფრო ჩრდილოეთისაკენ არის ქვეყანა, იმდენად ზაფხულში უფრო პატარა ღამე იცის. მაგალითად, პეტერბურგში ზაფხულის დამდეგს ღამე სულ ოთხი საათია. მაღლა, ძალიან მაღლა აღის მზე ზაფხულში. ცოტა-საც რომ კიდევ აიწვედეს, სწორედ პირდაპირ თავზე დაგვადგებოდა. თითქმის პირდაპირ ჩამოშვებული სხივები ქვეყანას ძლიერ ათბობს, შუადღისას ხომ თითქმის სწვავს. აი შუადღემ მოატანა, მზე სულ მაღლა ავიდა და დედამიწას სწორედ შუა ციდან დაჰყურებს. ამაზე ზევით მზეს ასვლა აღარ შეუძლიან. ამ დროს არამც თუ კაცი მზეს თვალს ვერ გაუსწორებს, განათებული ცისა და დედამიწის ყურებაც ძნელია. ცაც, მინდორიც, მდინარეებიც, პატივც მეტად ბრწყინვალე ნათელით არის მოფენილი. საშინელი სიციხეა, პაპანაქებაა, როგორც ამბობენ ქართველები. ხეები

ვერ დაშვიფდება. დიდი ხნის უწვიმობა კი მავნებელია მცენარისთვის, რადგანაც სიცხესთან მას სინოტივე და ნაძი უყვარს. უწვიმობა დამიანისთვისაც შემაწუხარია. ამისთვის უხარიათ გლეხებს, როცა პაერში ღრუბელი გაჩნდება, ცაში ქუხილი და ელვა შეიქმნება და ქვეყნის გამაცოცხლებელ ხშირ წვიმას დაუშვებს. მაგრამ ხან წვიმას მოჰყვება ხოლმე სეტყვა, რომელიც ქვეყნის ამოხრებელია: ხეხილებს ნაყოფს აყრევენებს, ვაზების მტევნებს ჰბერტყავს, ნათესს მიწაზედ აქცევს, ჰქელავს და ანადგურებს...

მინდვრებს ზაფხულში მშვენიერი შეხედულება აქვს. სათბობი ხშირი და მაღალი ბალახი ზღვასავით ღელავს. მთელი სათბობი სავსეა სხვადასხვა ბუდრუგუნა მწერებითა; იმათი ბზული კაცს შორიდანვე ესმის. ბაღებში ხეხილებმა კი ხანია დაიყვავილა. ბალი აქა-იქ წითლად კიდევ შეთვალდა, ქლიავი შეიგაღამივ გაშავდა. ვაშლი, მსხალი, ატამი ჯერ ისევ მკვანე და მწვანეა, მაგრამ თანდათან ნაყოფი ეზრდება და უმწიფდება. მხოლოდ ცაცხვი ისევ ჰყვავის ამ დროს



დაეზრდებოდეს, დედ-მამა პაერში მხიარულად დაფრინავს და თავისი ქორფი შეგვსვს. თვის საზარდოს მსხურებს საკმელი ფრინველებს ბევრი აქვთ: ერთი იტაცებს თავთავის დაბნულ მარცვლებს, მეორე დამწიფებულ ბალსა ჰქენკავს, მესამე პაერში ქინქლუბის გუნდს დასდევს. თვალგამჭრიახი ქორი მაღლა ცაში დატრიალებს და იქიდან დაკვირვებით ძირს იხედება, პატარა ვარაიან სხვა ახალგაზრდა და გამოუცდელი ფრინველი ხომ არ ასცდენია დედასაო, და რა წამს დაინახავს განმარტოებულ ფრინველს, ისარივით შევიდან დაეცემა, თავის ბასრ ბრტყალებს ჩაავლებს და პაერში აიტაცებს. მეტადრე ყვა-ვი და კაჰკაჰი დიდ თიხებს სჩადიან. ეს ფრინველები ბუდეს სოფლის ახლო იკეთებენ და ისე დღე არ გავა, რამდენიმე ქათმის წიწილა, ბატის, ან იხვის ჭუჭული, ან კიდევ ინდაურის ჭუჭი არ მოიტაცონ. ხანდახან ისე გაონავრებულნი არიან, რომ შინაურ მოზარდ ფრინველსაც თვალწინ აცილიან კაცს. ბელი იმათი, რომ ბუდის კეთება მაღალ ხეებზედ იციან, სადაც კაცი ძნელად მიუღვება, თორემ გაბრაზებული სოფლელები არც ერთ ყვავსა და კაჰკაჰს ბარტყებს არ გამოაჩეკინებდნენ.

მთელი მინდორი ზაფხულში სხვადასხვა მწერებით არის მოფენილი, მრავალი ჭრელი პეპლები საამურად დაფრინავენ. ოქროსფერი ფუტკარი ამ დროს მუყაითად ირჩება ცაცხვის ხეზე და სურნელოვან ყვავილებზედ, საიდანაც ტკბილ წვეს სწუნის თაფლის ზოდების გასაკეთებლად სკაში. სკებიდან ამ დროს განუწყვეტელი გუგუნის გამოდის. ჩქარა სკებში ვიწროობა შეიქმნება და ფუტკრები სკებიდან გუნდ-გუნდად გაიშლებიან; ამაზედ ამბობენ, ფუტკარმა იყარაო. სკიდან გამოსული ფუტკრის გუნდი ახალ ბინას ეძებს და რომელსამე ხეს ეხვევა. მაგრამ მეფუტკრეს დიდი ხანია იმათთვის ახალი სკა აქვს მოზადებული; ამ სკაში მოაქცევს ნაყარ ფუტკარს და საფუტკარეში დასდვამს. ხან კი ნაყარი ფუტკარი ახლო ხეს არ დაეხვევა, შორს წავა და ისე სწრაფად, რომ მეფუტკრე თვალს ვეღარ მოასწრებს. მაშინ იგი ნაყარ ფუტკარს სრულიად დაჰკარგავს. ბუდრუგუნა ქიან-ქველა ზაფხულში მიწის ქვეშ საზამთროდ საზარდოს აგროვებს; შემნახავი ციყვი გამხმარ კაკალს დაუოლადავად ზიდავს და ზიდავს ფულურში. ასე ჰხარობს, შრომობს და სიამოვნებს ყოველი სულდგმული ზაფხულში!

ზაფხული

სრულიად გაშვებული დგას, ფოთოლი არ იხმრევა და ძირს დამკვებული ჰკილია. ფრინველები ტყესა და ჭალაში დაიმალნენ: სიცხისაგან დაქანცულებს ენა გამოუყვიათ და საცოდავად ქაქანებენ. რასაკვირველია, ამ დროს ვალობისა არა სცხელათ. შინაურმა საქონელმაც ძოვას თავი დაანება და ჩრდილი მოძებნა. ოფლში გაწურული მუშა დიდ დათაღულობასა გრძნობს და საქმეს თავს ანებებს. დიდი და ხშირი ჩრდილიანი ხე მუშა-კაცს ერთ რადმე უღირს ამ დროს. ყოველი სულდგმული აგრილებას მოუთმენლად ელის.

აგერ, მზე ძალზე გადაიხარა, იმისი სხივები მიწაზედ ალმაცრივ ეცემა და ამიტომ აგრილდა. ფრინველები მინდორში გაიშალნენ, საქონელი ისევ ველზე საძოვრად გავიდა, გლეხმა მუშაობას კვლავ მუყაითად მიჰყო ხელი. ამგვარი სიციხეები სულდგმულს საქმეს უჭირვებს, მაგრამ მცენარეებისთვის კი საჭიროა, უსიცხოდ თესლი მცენარეებისა

და თავის გარშემო მშვენიერს სუნსა ჰვენს. იმისი ხშირი ფოთლებიდან და პატარა თეთრი ყვავილებიდან რაღაცა გუგუნის ისმის; აქ სიმღერით მრავალი ფუტკარი ირჩება და ყვავილებიდან ტკბილ წვეს აგროვებს თაფლის გასაკეთებლად. ხეს რომ მიუახლოვდე, თაფლის სუნი გეცემა. მინდვრის ხილსაც თვალი შეუვიდა. მარწყვის პატარა მრგვალი მარცვალი, რომელიც ჯერ ბალახებში თეთრად გამოჩნდა, ახლა დამწიფდა, მთელი მინდორი წითლად ააჭრელა. მალე შავად დამწიფებული მყვალციკუნწულ-კუნწულად გადმოეკიდება ბუჩქს, მაგრამ განა შეიძლება ჩამოითვალოს, რაც კი ზაფხულში ჩნდება? ერთი ხილი მეორის შემდეგ მწიფდება, ერთი მეორეს უსწრებს.

ფრინველი, ნადირი და მწერი ზაფხულში კეთილ ცხოვრებაში არიან. გაზაფხულზე დადებულ კვერცხებიდან ფრინველებმა ბარტყები ეხლა გამოჩეკეს. პატარა ბარტყებმა ბუდეში ჰყვირილი და წივილი იწყეს; მინამ ამათ ფრთები



ელექტრონიკა, ავტომატიკა, სპორტი

ლექტრონიკაში მომხდარმა ძვრებმა კაცობრიობა მრავალ შტაბურულ გამოგონებამდე მიიყვანეს. მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, სახმელრო ტექნიკა ან მედიცინა დღეს წარმოუდგენელია ავტომატიკის გამოთვლითი ტექნიკის ან კომპიუტერების გარეშე.

დიდი სპორტის შემდგომი განვითარება ელექტრონიკის გამოყენებაზე დამყარებული. სულ მალე მსოფლიოს დიდი სტადიონების თავზე დაიდგება საფეხბურთო კომპიუტერები. ამ ხელსაწყოს ფართოუბიანი ობიექტები დაიტევს მთელ მოედანს თავისი ბურთით, სამი მსაჭითა და ოცდაორი მოთამაშით. მისი მეშვეობით მწვრთნელი ზუსტ ცნობას მიიღებს, თუ ვინ რამდენჯერ შეეხო ბურთს, ან რამდენი კილომეტრი გაიარა, რამდენჯერ ან მერამდენე წუთზე შეიჭრა მოწინააღმდეგის საჭარმოზე, რა წარმატებით გამოიყენა გუნდმა ესა თუ ის სათამაშო ტაქტიკა ან სტრატეგია.

უკვე დამზადდა ისეთი საჰაერაო ავტომატები და კომპიუტერები, რაზედაც მრავალი ათეული წლების მანძილზე ოცნებობდნენ ბრძნული თამაშის მოყვარული ჩვენი წინაპრები. ამ მხრივ პირველი პრაქტიკული ნაბიჯი გადაიდგა 1769 წელს, როცა უნგრელი მეოცნებე გამოგონებელმა ფ. კემპელენმა საჰაერაო „ავტომატი“ ააგო. მანქანას ავტომატიკასთან საერთო არაფერი ჰქონდა, რადგან მასში პროფესიონალი მოჭადრაკე იყო დამალული, მბრუნავი კბილანა ბორბლები და სარკეები კი ფხველავტომატის ეფექტს აძლიერებდნენ.

მოჭადრაკე მანქანის ამბავი სწრაფად მოედო მთელ მსოფლიოს, შესაბამისად გაძლიერდა მასთან თამაშის ინტერესიც. კემპელენმა თავისი „ავტომატი“ მთელი ევროპა შემო-

იარა, იყო პეტერბურგშიც. 1804 წელს კემპელენი გარდაიცვალა, სოლო მისი „ავტომატი“ ი. მედცელს დარჩა.

ახალი მფლობელის დროს „ავტომატი“ ამერიკაც მოინახულა, ამან კი მანქანასთან თამაშის ინტერესი კიდევ უფრო გააძლიერა. მასთან შეხვედრა თვითონ იმპერატორმა ნაპოლეონ ბონაპარტემაც მოისურვა. თამაში გაიმართა 1809 წელს ქალაქ შენბრუნში. პარტია მეტად მოკლე აღმოჩნდა: ნაპოლეონმა, რომელიც თვითონ ფიგურებით თამაშობდა, სულ თორმეტი სვლა გააკეთა და მეცამეტეზე თავი დამარცხებულად ცნო. შემორჩენილია ამ პარტიის მხვლელობის ჩანაწერიც.


გასული საუკუნის ოცდაათიან წლებში საიდუმლო გამუდვინდა და „ავტომატი“ შეწყვიტა „თამაში“. 1886 წელს „ავტომატი“ ქალაქ ფილადელფიის ერთ-ერთმა მუზეუმმა შეიძინა. „ავტომატი“ ექსპონატად იქცა, მაგრამ მისი ნახვის ინტერესი ოდნავადაც არ შენელებულა.

სამწუხაროა, რომ ამ მეტად უნიკალურმა „მანქანამ“ ჩვენამდე ვერ მოაღწია. 1854 წელს იგი მუზეუმთან ერთად ხანძარმა გაანადგურა.

ჩვენს დროში საჰაერაო ავტომატები გავრცობას აღარ იწყებენ. მრავალმა ქვეყანამ უკვე დაამზადა ისეთი ნაშევლი ავტომატები, რომლებიც დიდოსტატის დონეზე თამაშობენ. მათ შორის დროა დრო ტურნირებიც კი ეწყობა. დღეისათვის ფავორიტებად აღიარებულია საბჭოთა ავტომატი „კაისა“ და ამერიკული „ჩისი“.

დამზადდა აგრეთვე საყოფაცხოვრებო საჰაერაო კომპიუტერები, რომლებიც კარგ სპარინგპარტნიორობას უწყვენ როგორც რიგით, ისე წამყვან მოჭადრაკეებს.

თარხან არჩვამი.



თარხანულად: 5. ტანმორჩილი ბუჩქბაღის მცენარე; 6. პატარა, ბრტყელი, მრგვალი პური; 8. ორგანიზაციის, სახელმწიფოს მიერ წარგზავნილ დელეგატთა ჯგუფი; 13. მოკლენიჩხიანი სპორტული ნავი; 16. საერთაშორისო ხელშეკრულება; 17. მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნების რაიმე დარგის გარკვეული ცნების გამომხატველი სიტყვა; 18. ამერიკის სახელმწიფო; 19. ესპანელი ფერმწერი; 20. პოეტის შთაგონების წყარო; 21. კრილოზა; 22. ფრანგი კინომსახიობი; 25. ძვირფასი თვალი; 27. ხალხის სპეციალური დანიშნულებით გადამყვანი მატარებლის შემადგენლობა, ავტოკოლონა ან თვითმფრინავთა ჯგუფი; 28. ჩოგბურთის სათამაშო მოედანი; 29. ქართლის სოფელი; 32. ტექნიკური პროგრესის მიხედვით ერთმანეთთან დაკავშირებული სხვადასხვა საწარმოს გამერთიანებელი მსხვილი სამრეწველო საწარმო; 35. სიყვითლე, ქველბა, მოწყალეობა; 36. რისამე განხორციელების მიმდინარეობის სისწრაფე.

შვეულად: 1. აზიის სახელმწიფო; 2. თავსაბურავი; 3. ქართლის სოფელი; 4. პერიოდული სხლოზა; 7. დიპლომატურ წარმომადგენლობასთან მყოფი თანამდებობის პირი; 9. გარკვეული მიზნის მისაღწევად წინასწარ შემუშავებულ ღონისძიებათა პროექტი; 10. მაღალხარისხოვანი ქეჩა; 11. საბუთი; 12. ძვირფასი თვალი; 14. ერთი სახელმწიფოს მთავრობის მიმართვა მეორისადმი; 15. ამერიკის შტატი; 23. დადებითად დამუხტული ელექტროდი; 24. ყველა გემის ერთობლიობა; 26. ჩრდილი, აჩრდილი; 30. რისამე მარაგი; 31. საშუალო ტანის წვნიანი ნაყოფის მქონე ხე; 33. პალმის ფრთხილები ფოთოლი; 34. ერთი ქვეყნის მთავრობის წერილობითი დიპლომატური მიმართვა მეორე ქვეყნის მთავრობისადმი.

შეაღინა გიგა ჯურლოვანიძე.

„დროშა“ № 5-ში გამომკვეთი კოსმოსრდის კასუხები:

გარეკანის პირველ გვერდზე: ცხენი — ჩვენი მეგობარი. ჩანართის მეოთხე გვერდზე: თბილისის 58-ე საშუალო სკოლის მერვე კლასის მოსწავლე სოფიკო გიორგაძე, სსრკ სპორტის ოსტატობის კანდიდატი ცხენოსნობაში, თბილისის აბსოლუტური ჩემპიონი. მეოთხე გვერდზე: მზის ჩასვლა. ფოტოები ბონდო დვალისვილისა.

გადაეცა წარმოებას 28.04.87. ხელმოწერილია დასაბეჭდად 29.05.87. უე 04476. ქალაქის ზომა 70x1081/8. გარეკანი, ჩანართი და ტექსტი იბეჭდება ოფსეტური წესით. ფოტოკური ფურცელი 8, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 4,2, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,69. ტირაჟი 50 000. შეკვეთა 1088. ფასი 35 კაპ. 880096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» («Знамя»), (на грузинском языке). 380096, Тбилиси, ул. Ленина, 14. Типография издательства ЦК КП Грузии. Адрес редакции: 380008, Тбилиси 8, по. Руставели, 42.

რედაქციის მისამართი: 380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42. ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-54-66, პ/მგ. მდივნის — 99-82-69, განყოფილებათა გამგეების 93-28-42, 99-01-39, რედაქციის სამდივნოსი — 99-54-66.

რედაქციაში შეიშული მასალა ავტორს არ უბრუნდება.



ცხენბურთი.

